საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერ…

სამშაბათი 23 მარტი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

ხელის მოწერის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი ნონპარელის სტრიქონი 5 მანეთი. პირველ გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება [illegible] 15×2 სტრიქონი [illegible] 100 მანეთი. [illegible] განცხადებები [illegible]. რედაქცია და კანტორა [illegible] რუსთაველის ქ. 4, [illegible] 12-[illegible]. ტელეფონი 16—62

№ 66 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 66

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამწუხრებული დედა ეფემია სიხარულიძის ასული ასაშვილისა; მეორე მამიდან ძმები: ალიოშა და კოლია ასაშვილები; განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი ბიძები: ექვთიმე და ბაგრატ ივანეს ძენი დოლიძეები აუწყებენ თავიანთ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარის ბათუმში ტრაღიკულად გარდაცვალებულის სრული კავალერის

გიორგი ნიკოს ძე დოლიძის

გარდაცვალებიდან ორი წლის თავი შესრულდება 11 მარტს ძველი სტილით. (1027 1—1)

ბათუმის ქართული დრამატიული სცენის მოყვარეთა წრე ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და საზოგადოებას, წრის გამგეობის წევრის, ნიჭიერი სცენის მოყვარის და დაუღალავი მუშაკის

ამხ. ნოე სარიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდა 9 მარტს ქალაქ ბათუმში. (1048 1—1)

კინემო „მინიონი" 21, 22, 23 და 24 მარტს

ქ. თფილისში გადაღებული სურათი აქც. საზ. „ფილმის" მიერ თფილისის მსახიობთა მონაწილეობით.

მითხარი რისთვის?...

ნოკტიურნ შოპენის კინო დრამა 5 მოქმედებათ, დადგმა რეჟისორ ვ. გ. ბარსკისა მხატვარ ვ. პ. სიმოვის თანამშრომლობით.

უმთავრეს როლებს ასრულებენ: პ. ა. კაშევსკი, „დრ. ტარტოს" მსახიობი, ე. ა. ჩარსკაია, ევგენია სებარი, ანნა დავიდოვისა, ვიქტოროვი, არბატოვი და სხვ.

(1035—2—2)

მოიკითხეთ საუკეთესო ხარისხის

აბრეშუმის ჭიის თესლი

(ყვითელი, ფრანგული ჯიშის).

„დ. დ. დეკანოზიშვილის" ფირმისა.

დუშეთის ქუჩა № 22 ბინა მექანარიშვილისა.

(1026—3—2)

გენერალ კერესელიძის რაზმის ყოფილ მოსამსახურეთა საყურადღებოდ საქართველოს რესპუბლიკის

სამხედრო სამინისტრო აცხადებს

რომ მას კომპეტენციაში არ შედის ჯამაგირით და სხვა გვარ ფულით დაკმაყოფილება აღნიშნულ პირთა რაზმში სამსახურისათვის ამის გამო, ზედმეტ მიმოწერის და დროს უბრალოდ დაკარგვის თავიდან ასაცილებლად ამ გვარი თხოვნებით ხსენებული პირები ნულარ მიმართავენ სამხედრო სამინისტროს. (6. 3—1)

ექიმი ბ. ი. ოქრობირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა № 22, სოლოლაკი.

(6.—ი.)

შორაპნის სამაზრო ერობას ესაჭიროება

სამი ცხენიანი ფურგონი

ჯამაგირი 2100 მანეთი და პრაქტიკა. მისამართი ზესტაფონი ერობაში.

(1019 2—1)

ჩრდილოეთისკენ!

გასული კვირის განმავლობაში მთელი ჩვენი ყურადღება ბათუმისკენ იყო მიპყრობილი. ევროპის კარების გასაღები გვინდოდა ხელთ გვქონოდა. ზღვის პირი გვინდოდა მტკიცეთ გვეპყრო და ზურგი გაგვემაგრებინა.

მთელი ხალხის ერთსულოვნობას ამ საკითხში მხოლოდ იმპერიალისტური წრეების უდღეური ინტრიგა და წინააღმდეგობა ელოდება. მაგრამ ჩვენ გვგონია, ხალხის, დემოკრატიის ასეთ მძლავრ და შეუდრეკელ ნებისყოფას, რომელიც 19 მარტს გამოჩნდა, ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს. ან ბათუმი ისევ დაუბრუნდება საქართველოს, ან საქართველოც თან გადაჰყვება ბათუმს. ბათუმის მტკივან, დამუწუკებულ ადგილათ გადაქცევას ჩვენი ხალხის სხეულზე, საქართველოს დემოკრატია ვერ შეურიგდება, ვერ აიტანს, ვერ მოითმენს. ასეთია გარდუვალი გადაწყვეტილება ერისა.

მაგრამ ამასთან, სამხრეთით გართულებულ საკითხს, თან ერთვის ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი ახალი საკითხი, ესაა საკითხი კავკასიონის ქედზე მომდგარი ბოლშევიზმისა. დენიკინი — ჩვენი ერთი დაუძინებელი მოპირდაპირე, დიდ რუსეთის აღდგენაზე მეოცნებე, აშკარა და მკაფიოთ გამოთქმული იმპერიალისტური ზრახვების მატარებელი, დაეცა. მის ადგილს იჭერს მეორე, ბოლშევიზმის სახით მოვლინებული ძალა, მუშათა და გლეხთა მთავრობის სახელით მოქმედი, მაღალი სოციალისტური ლოზუნგების სამოსელში გამოხვეული, მაგრამ არსებითად იმავე ზრახვების განმახორციელებელი.

ჩვენ მუშათა კლასს ისევ უდგება წინ სურათი ფრონტიდან მომავალ გაშლილ ნების, დუშეთის და ცხინვალის აჯანყების, უგნური მოქმედებას და დამღუპველი, დამასუსტებელი, ბრძოლის შეგნებულ დემოკრატიასა და მოტყუებულ გაბრიყვებულ გლეხობის ერთი ჯგუფის შორის.

კვლავ იმართება ჩვენს წინაშე მოლოდინი ახალი ბოროტების, სამოქალაქო ომის, რომელიც თან ახლავს რუსეთის გაველურებულ კომუნიზმს, გაბოროტებულ ჩრეზვიჩაიკას, გაფითრებულ შეიარაღებულ ბრბოებს.

და ბათუმის საკითხის გვერდით, მაზე უწინარესად ჩვენ გვგონია, ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული ამ ახალ მოვლინებას მოსკოვის წითელ არმიელებისას.

ჩვენ ვიცით ბუნება ამ ახლათ მოვლენილ ძალის. იგი ანგრევს და მუსრავს, შექმნით კი არაფერს ქმნის. იგი თქვეფს და სპობს, მოცემით კი არაფერს იძლევა. იგი სისხლის წვიმებს ამზადებს, სოციალისტურ მზის სხივებს კი ბნელი ზეწარით ბურავს.

და თუ სადმე საჭიროა ერთსულოვნება, ეს პირველ ყოვლისა ამ ძალის წინააღმდეგ, რომელიც მუშათა სახელით იმოსება.

ბოლშევიზმი — სოციალიზმს ქადაგებს, იგი ერთა თვითგამორკვევას აღიარებს, იგი სხვა ერზე ძალადობის მიტანას გმობს, როგორც სისხლიან იმპერიალისტურ მოქმედებას. მაგრამ ცხოვრებაში, სინამდვილეში ყველა ამას უარყოფს, ფეხ ქვეშ სთელავს, აქარწყლებს.

ჩვენ ეს დიდი ხანია ვიცით. მაგრამ რუს ხალხის მასსას გულუბრყვილობით კიდევ ჰგონია, რომ კომუნისტები თავის სიტყვის ხალხია.

მართალია მათ ყველგან მხოლოდ სისხლი და ყაჩაღობა შემოიტანეს, სადაც კი ფეხი შედგეს, მაგრამ ეს ბევრს მაინც ვერ გაურჩევია იმ მაღალ ფრაზებიდან, რომელსაც ისინი წარა-მარა ხარჯავენ.

ეს სოციალიზმის ძირის გამომთხრელნი ბევრს ისევ ჭეშმარიტ სოციალისტები გონია.

და ამიტომ წარმოადგენს საფრთხეს ჩრდილოეთი დღეს. იგი ცდილობს შინაური არევის შემოტანას ჩვენში.

ბოლშევიკური ფურცლები უხვათ ეფინება ქალაქსა და სოფლებს. მემარცხენე ესერებიც მიეშველნენ მათ თავისი აწრიაპინებული კალმებით.

საქართველოს ორი წლის მუშათა და დემოკრატიის გასამტკიცებლათ მოსვენებას არ აძლევს ამ ანარქიის მოციქულთ და არევ-დარევის სულის ჩამდგმელთ. ქვეყნის ბედი და უბედურება მათ არ აფიქრებთ.

მათ ვერ შეაჩერეს ვერც ის ლოზუნგები, რომელსაც თვით აღიარებენ, ვერც ის იდეები, რომელთაც ქადაგებენ.

ჩიჩერინის, მათი საგარეო საქმეთა კომისარის ნოტა, რომელიც ჩვენს მთავრობას გამოუგზავნა და რომელიც უტიფარი ცილისწამებით და ინსინუაციებით იყო სავსე, როგორც ბოლშევიკური ქურდის ფურცელი, აშკარათ მოწმობს, რომ ეს ხალხი დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლას ვეღარ მალავს. აღერბეიჯანის ბეგებიც და ოსმალეთის ფაშები ურჩევნია მას საქართველოს დემოკრატიასთან შერიგებას. ინგლისის იმპერიალისტებთან შეთანხმება, და გენერალისთვის სოციალისტურ რუსეთის ტყეებში ბურჟუაზიული კონცესიების მიცემა ურჩევნია—საქართველოს ნამდვილ დემოკრატიულ წყობილების გუებას, მოთმენას თავის გვერდით.

როგორც ნამდვილი ანარქისტული ბუნების მოძრაობა იგი ეგუება ბურჟუაზიულ ანარქიას, მარა ვერ იტანს დემოკრატიულ წესრიგს, ნამდვილ მუშურ მთავრობას, რომელიც მასავით თოფით არ ტრიალებს და სისხლით არ რწყავს მიდამოებს.

ეს უნდა ვიცოდეთ კარგათ.

არის მხოლოდ ერთი საშუალება კარზე მომდგარ ანარქიისაგან თავის დასახსნელად. ესაა გამაგრება შინაური ფრონტის, გამთლიანება შინ მთელი ხალხის ნებისყოფის, მთელი მუშათა კლასის და სოფლის მცხოვრებთა მტკიცე სურვილის,—რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის დახსნისაკენ ამ საშინელი საფრთხისაგან.

ახლა სდგება ჟამი ჩვენი დემოკრატიის უკანასკნელი გამოცდის. ჩვენ არა ერთხელ გავუმკლავდით ევროპის იმპერიალისტთა მოძალეებს, როცა მათ სურდათ ჩვენი ნება დაემორჩილებინათ. ჩვენ არა ერთხელ ავიცილენით დამონება და უღელი ოსმალეთის, გერმანიის და სხვა იმპერიალისტების. ჩვენს ხალხს ყოველთვის გამოუჩენია საკმაო გონიერება და საღი ინსტიქტი ისე დახვედროდა მომხდურს, როგორც ამას მოითხოვდა ჩვენი დემოკრატიის ინტერესი.

დღემდე არ დაგვიხრია ჩვენ წითელი სოციალისტური დროშა. იმპერიალისტებმა ვერ შესძლეს მისი შებღალვა. და ჩვენ გვწამს, რომ წითელი დროშის შემრცხვენელათ მატარებელი ბოლშევიზმიც ვერ მოგვატყუებს თავის რევოლუციური ფერით, ვერ დაგვახევინებს ძირს ჩვენს უმწიკვლო წითელ დროშას, რომელიც მრავალი ათეული წლები გვიტარებია, რომლითაც მოვიპოვეთ რევოლუცია, დამოუკიდებლობა, ევროპიელებისკენ გზა და ხიდი, იმპერიალიზმისაგან თავისუფლება, რომლითაც დღემდე გამარჯვება გამარჯვებაზე მიგვქონია.

საქართველოს დარაზმული დემოკრატიის ხელში ეს დროშა კვლავ შეუბღალავი დარჩება, უნდა დარჩეს მომავალ განსაცდელშიაც.

ბათუმს და მასთან მთელ ჩვენ არსებობას ელოდა საფრთხე სამხრეთიდან. ახლა იგი ჩრდილოეთიდან მოგვიტრიალდა. მუშებსა და გლეხებზე დღეს დამოკიდებული, ამ ახალი ფრონტისკენ მიმართავს მთელი თავისი ძალის, ენერგიის და შემოქმედების.

ჩვენი საზღვრები — ციხე სიმაგრეა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის. მათი დაცვით შევინარჩუნებთ ჩვენ იმას, რაც დღემდე მადლი მოჰფენია ჩვენს ხალხს რევოლუციით და მედგარი ბრძოლით.

დაიცავით ჩვენი საზღვრები, დაიცავით ჩვენი თავისუფლება ჩრდილოეთის ანარქიის ტალღისაგან.

დღეს ვინც ამის წინააღმდეგია—ის დემოკრატიის მოღალატეა, ის ხალხის მტერია, იგი დაუნდობელი და მოუთმენელია—ბოროტი სულია, რომელიც შიგნიდან სტეხს ჩვენს სიმაგრეს. და მას ისე უნდა გაეცეს პასუხი, როგორც ომში ზურგიდან თავდამსხმელს.

ბათუმის დღე

ბევრი დიდი დღის მოწმე ყოფილა დამფუძნებელი კრების დარბაზი; ბევრი დიდი დღე უნახავს თფილისის ქუჩებს, მაგრამ ისეთი დღე როგორიც იყო პარასკევს—რევოლუციის პირველ დღეების შემდეგ არ ახსოვს.

დილის თერთმეტი საათიდან სასახლის ახლო-მახლო ქუჩები ხალხით ისე გაიჭედა, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა, როგორც იტყვიან. აფარებული დროშები, დროშები რევოლუციონური, ეროვნული და სახელდახელო თავის მრისხანე წარწერით აპობდენ ჰაერს და ნიავს აბარებდენ ბათუმისკენ ძმურ სალამს, თანაგრძნობას, იმედს და აღთქმას.

ზედა სასახლის განმავლობაში მრავალ ადგილას აღმართოთ სახელდახელო ტრიბუნები, ორატორები ერთი მეორეს სცვლიდა და ყველა, სხვადასხვა ფორმებში და ნიუანსებით ერთსა და იმავეს იმეორებდა: ეს იყო ბათუმი და მისი მწარე ბედი; ეს იყო აღშფოთებული საყვარელის აფორიაქებული სულიერი განცდის ჯანყი; ეს იყო ლტოლვა და მისწრაფება ბათუმისკენ. ეს იყო უმაღლესი აღთქმა, რომ „ქუჯეთის ციხის" კედლები სადაცაა გაირღვევა და მაღლა, მაღლა მაღლა განთავისუფლდება ტყვეთ ქმნილი „დედოფალი". ამის თავდებია ის მტკიცე ერთსულოვნება, რომელმაც გააერთიანა გუშინდელი მანიფესტანტები, ქართველი ერი და სადაც ასეთი მტკიცე ნების ყოფაა, იქ საშიში და საჩოთირო არაა არის-რა. ეს დღე თავდებია იმის, რომ ბათუმის საკითხი გადაწყდება ისე, როგორც უნდა გადაწყდეს. ე. ი. დაუბრუნდება საქართველოს და მასთან ერთად შექმნის მტკიცე და ურყევ საფუძველს, რომელზედაც ლაღად გაიშლება ჩვენი ქვეყნის აწმყო და მომავალი.

იმ დროს, როცა ქუჩა ასე მღელვარებდა, როცა გლოვა და მწუხარება სიხარულის და იმედის ნაპერწკლებს ყრიდა და აპნევდა, როცა ხალხის ნების ყოფა ყალიბდებოდა და ფოლადდებოდა—თვით დამფუძნებელი კრების სხდომა არჩევდა და იხილავდა საგარეო-ხელშეკრულების ტექსტს აღერბეიჯანის რესპუბლიკასთან.

დარბაზი გაჭედილი იყო დამსწრენით. ქუჩიდან ორატორების ხმა და მოწოდება შიგ დარბაზში იჭრებოდა და საქმიანობის ატმოსფერაში ნერვიულობა და მღელვარება შეჰქონდა.

ხელშეკრულობა წაკითხულ და მიღებულ იქნა. თავმჯდომარის ამხ. ალ. ლომთათიძე აცხადებს, რომ დარბაზში მოვიდნენ მიტინგის დელეგატები, მოითხოვეს ის, გადასცეს მიტინგის რეზოლუცია და ითხოვენ გაიგონ თუ რას ფიქრობს დამფუძნებელი კრება—არის ის ხალხთან თუ არა. მან სიტყვა მისცა, რომ ის ახლავე გადასცემს დამფუძნებელ კრებას მიტინგის სურვილს და მოთხოვნას და მის პასუხს მიტინგს აცნობებს.

ამ განცხადებისთანავე დაიწყო კამათი ბათუმის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო ყველა ფრაქციებმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა. ოპოზიციის ორატორები, სამწუხაროთ, ვერ ამაღლდენ დიდად შეგნებს მომენტის სიდიადე, საერთო განწყობილებაში სრულიად უადგილო დისონანსი შეიტანეს და მთავრობის და მმართველი პარტიის ხარჯზე თავის პრესტიჟის აღდგენას შეეცადნენ. ამიტომ იყო, რომ მათი სიტყვები მიუხედავათ ფიცხი ტონისა ვერ ქმნიდა და ვერ პოულობდა იმ გამოძახილს, რომელსაც მოითხოვდა მომენტი და ირგვლივ გამეფებული ატმოსფერა.

ამ წვრილმანი კამათის ფონზე ღრმა კვალი გაავლო დეპუტატმა ჩხენკელმა. მისი სიტყვა, თქმული უმაღლესი ტაქტით, მდიდარი შინაარსით და რჩეული ფორმით მთელ დარბაზს იპყრობდა და ის ყველამ, განურჩევლათ მიმართულებისა, ერთნაირათ დააფასა და საერთო ტაშით დაფარა.

ოპოზიციის სიტყვების და მათი გამოლაშქრების გარჩევა და დაფასება დღეს უადგილოთ მიგვაჩნია, მარა ერთ რამეს მაინც უნდა მივაქციოთ ჩვენი მკითხველის ყურადღება. ესაა ჩვენი მოქმედების საფუძვლათ რისკის დადება ამას მოითხოვდენ ფედერალისტები, ამას მოითხოვენ ესერები.

თუ რამდენად მიღებულია ჩვენს მდგომარეობაში ისეთი რისკის გაწევა, რომელსაც მოითხოვდენ—ამის შესახებ ოპოზიციამ უკვე მიიღო ვრცელი და საფუძვლიანი პასუხი დეპუტატ გ. გიორგაძისგან. ჩვენ კი საჭიროთ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ვერც ჩვენი მთავრობა, ვერც მართველი პარტია და ვერც ჩვენი ხალხი ვერ გასწევს ისეთ რისკს, რომლის შედეგი მისთვის კარგად არ არის გათვალისწინებული. რისკი შეუძლია პიროვნებას, მარა ხალხის ბედ-იღბალით რისკი—ეს იქნებოდა ჩვენის მხრით უდიდესი სახიფათო საქმე. ამიტომ მართველი პარტია და მისი მთავრობა ასეთ რისკს ვერ გასწევდა, ვერ გასწევს და ვერც გაბედავს გასწიოს. რისკი და თამაში—ეს არის უპასუხისმგებლო პირების საქმე და აკი ამიტომ არის ჩვენი ხალხი ასეთ მოთამაშე და მორისკე პარტიის თუ ჯგუფს არც მიყვება და არც გაჰყვება.

ჩვენი ხალხი თავის საღი ინსტიქტით კარგათ გრძნობს მართველი პარტიის ფრთხილი პოლიტიკის საჭიროებას და აკი ამიტომაც ის ასე მჭიდროთ არის მის გარშემო შემოკრებილი. ამის ერთი უდიდესი საბუთთაგანია ის დღე, რომელიც ნამდვილი და ჭეშმარიტი გაერთიანება, იყო ხალხისა და მთავრობისა, განმტკიცება მასთან კავშირისა და უდიდესი ვოტუმი მისი ნდობისა და წინამძღოლობისა.

ოპოზიციამ ვერ შეიგნო ამ სიდიადის მნიშვნელობა და თავის დაუფიქრებელი გამოსვლებით შეიჭრა ხალხის იმ ერთსულოვნებაში, რომელიც შეიქმნა და გამოსჭვდა ქუჩამ და თავის დისონანსით და უადგილო კრიტიკით შეასუსტა ეს ერთსულოვნება და მით შეასუსტა საერთო საქმისაკენ მიმართული ენერგიაც ეს არის უდიდესი დანაშაული ოპოზიციისა, მარა ჩვენი ხალხი, ეჭვი არაა, მტკიცედ დაიცავს თავის ერთსულოვნებას და მის მთავრობასთან ერთად ბათუმის საკითხსაც ისე მოაგვარებს, როგორც მოაგვარა სხვა ბევრი ასეთი რთული და მძიმე საქმეები...

განი.

პრესა

ესერების ჩიტი-რიკის წვრილები დიდ ნიჭსა და უნარს იჩენს ჩვენს გინებაში.

მათი საორშაბათო გაზეთი „შრომის" ყველა ნომერი თავიდან ბოლომდე სავსეა ჩვენი გინებით და თავის თავის უზომო ქებით და ამ ქებას ისეთი ტრაბახობით, ისეთი ხმაურობით გადმოგვცემენ, რომ მაშინვე კრილოვის ის ცნობილი ბოჭკა მოგვაგონდებათ, რომელიც ისე მიგორავდა ქუჩაზე, რომ მისი ხმაურობით ყურთა სმენა აღარ იყო.

ოპოზიციის მძლავრმა და საფუძვლიანმა შეტევამ—ტრაბახობს „შრომა"—ცუდ გუნებაზე დააყენა სოციალ-დემოკრატია. ის უძლურია გაუმკლავდეს ოპოზიციას და სხ.

მარა ესერებს არ აკმაყოფილებს ქართულად ტრაბახი და ახლა რუსულადაც დაუწყიათ. სოხუმის „გოლოს ტრუდა" დაბეჭდილია დეპეშა თფილისიდან, სადაც სწერია: ჩვენი (ე. ი. ესერების—გ.) ფრაქციის გამოსვლამ მიწათმოქმედების სამინისტროს წინააღმდეგ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამფუძ. კრებაში. ამის გამო ლაქიებებით ლაპარაკობენ მიწათ მოქმედების მინისტრის გადადგომაზე, რომელიც ავათ გახდა მისი უწყების შტატების განხილვის შემდეგ.

მოდი და ნუ მოიხრი ქედს ისეთი ფრაქციის წინაშე, რომლის გამოსვლების შემდეგ მინისტრები პანტასავით სცვივა თავის ადგილიდან და თან ავათაც ხდებიან! ხომ გახსოვთ ნაცარ-ქექია, რომელიც იკვეხნოდა: მე რომ ცხვირს დავაცემინებ—მდევი შიშისაგან ცხრა მთას იქით გადავარდებაო. და აი ამ ნაცარ-ქექია ფრაქციას მართლა გონია, რომ მათი სიტყვების შემდეგ მინისტრები ავათ ხდებიან!

დღემდის ვიცოდით, რომ ხალხი ავათ ხდება სხვადასხვა ავადმყოფობისაგან. დღეიდგან გვეცოდინება, რომ ავათგახდომა შეიძლება თურმე ესერების გამოსვლებისაგანაც, ვისაც უნდა კარგათ ყოფნა—მან უნდა მოიმადლიეროს ბატონი ესერები. ამისთვის კი არც ისე დიდი მსხვერპლია საჭირო.

საკმარისია ცოტა ნავთი და...

ამ ტრაბახს ბატონი ესერები არც ბათუმის საკითხში ღალატობენ. „ჩვენ შევსძრავთ სამყაროს"—აცხადებს „შრომის" უკანასკნელი ნომერი, სწორედ ისე, როგორც „დედა ენაშია": „აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას უზამ."

აი ეს „სამყაროს" შემძვრელი პარტია ჩვენს მთავრობას და მენშევიკებს უპირებს „შეძვრას" და ამისათვის კიდეც იარაღდება პამპულასავით „თოფითა და ხინჯალითა."

მოდი და ნუ შეშინდები?..

⁂

„ასმატ'ეგორი" (№ 64) ჩიჩერინის უკანასკნელი ნოტის გამო შემდეგს სწერს:

„ეჭვს გარეშეა, რომ ჩიჩერინის უკანასკნელი მიმართვა საქართველოს მთავრობისადმი დაწერილია ჩრდილოეთ კავკასიაში მოპოვებულ გამარჯვების გავლენის ქვეშ.

იმ იმედით, რომ ხვალ შეიძლება ჩიჩერინი შეხვდეს საქართველოს პირდაპირ,—ესწრაფება უარყოს ყველა ავანსები. მაგრამ რაც უნდა იყოს ამ ნოტის საბუთები და მიზანი ყველასათვის ცხადია, რომ ასეთი ენით ლაპარაკი თავისუფალ ქვეყანასთან, გაუგებარია. უეჭველია, საქართველოს მთავრობას მსხვილი, თვით სახელისწერო შეცდომები ჰქონია, მაგრამ არა ეგონია ბოლშევიკებს უფლება ჰქონდეთ ამ შეცდომების კრიტიკისა—იმ ბოლშევიკებს, რომლების მთელი წარსული მოღვაწეობა მშრომელ მასსების და მათი ინტერესების წინააღმდეგ ბოროტმოქმედებათა ერთი მთელი ჯაჭვია. ვისურვოთ, რომ დამდგარიყოს ისეთი დრო, როცა ზავი შეგნებული ბოლშევიკების მიერ ყოფილიყოს, მაგრამ ზავის ქადაგება და ამგვარი ნოტებით გამოსვლა არ შეიძლება, ზავის წინა მორბედათ ვერ წაითვლება.

ევ. გეგეჭკორის ნოტა ოლ. უორდროპს

მის აღმატებულებას დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს. თქვენო აღმატებულებავ, თქვენს წერილში, 29 თებერვლის თარიღით, თქვენ მაცნობებთ, რომ უმაღლესი საბჭოს დადგენილებით გადაწყვეტილ იქნა ქალაქ ბათუმის ჯერ-ჯერობით დაჭერა დიდიბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის ჯარებით.

იტალიის წარმომადგენელი პოლკოვნიკი გაბბა თავის წერილში 9 მარტიდან იტყობინება, რომ ლონდონის კონფერენციამ გადაწყვიტა გადააქციოს ბათუმი პორტო-ფრანკოდ, მცირე ტერიტორიალური ზონით, ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ. როგორც გარანტია საფრანგეთი, იტალია და ინგლისი გაგზავნიან იქ ქვეითა ჯარის თითო ბატალიონს.

საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი 16 მარტს გვაცნობებს, რომ თანახმად უმაღლესი საბჭოს დადგენილებისა ბათუმის ნავსადგური გამოცხადებულია თავისუფალ პორტად, ქალაქი და მისი გარშემო მცირე ზონა შედგენს პატარა სახელმწიფოს ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ და დაჭერილ იქნება ინტერნაციონალური რაზმით, რომ

ლაც შესდგება სამი ბათალიონისაგან: ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიისა.

მიუხედავად ამ სამ ცნობათა აზრთა წინააღმდეგობისა, ცხადათ ჩანს, რომ ამ გადაწყვეტილებით ბათუმი უნდა გამოეყოს საქართველოს. მეტისმეტ ვქონია ჩვენ შემთხვევა განგვემარტა თქვენი აღმატებულებისათვის ქალაქ ბათუმის მნიშვნელობა საქართველოსათვის.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ბათუმი სავსებით ქართული ქალაქია, რომ მას არ შეუძლია უსაქართველოდ არსებობა და ეს გამოყოფა იქნება წინააღმდეგ ნებაყოფლობისა საქართველოს ერის და ბათუმის მცხოვრებთა, რომელთაც მრავალი მიტინგებით სხვადასხვა დროს, მეჯლისის გადაწყვეტილებებით და უკანასკნელ მუნიციპალურ არჩევნებით თებერვალში, რომელიც მოხდა ქართველებისათვის ნაკლებად ხელშემწყობ პირობებში, გამოსთქვეს თავიანთი ერთსულოვანი ლტოლვა სამშობლო საქართველოსადმი და შეურყეველი სურვილი მისდამი შეერთებისა.

ვიღებთ რა მხედველობაში მას, რომ ზემოხსენებულ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ძირს გამოუთხრის საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს, და ვაცხადებ რა ენერგიულ პროტესტს ბათუმის ბედის ასეთი გადაწყვეტის წინააღმდეგ, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ არც ქართველი ერი და არც ბათუმის მცხოვრებნი არ შეურიგდებიან ქალაქ ბათუმის საქართველოდან ჩამოშორებას. მიიღეთ თქვენო აღმატებულებავ და სხვა. მინისტრი: **გეგეჭკორი.**

1920 წ. მარტის 18 № 2222.

—

ასეთივე შინაარსის ნოტები გაეგზავნა საფრანგეთისა და იტალიის მისსიათა უფროსებს.

მიმართვა საქართველოს მთავრობისადმი

ართვინის რაიონის მცხოვრებთა ყრილობისაგან.

1) ართვინის უბნის მცხოვრებლები ამ უკანასკნელ ხანებში მეტად სამწუხარო და უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან. ართვინის მცხოვრებნი შეიარაღებულ ბანდებისა და ყაჩაღებისაგან მუქარას განიცდიან. ართვინისა და მის ახლო მიდამოებში ანარქიულ მძარცველობასთან ერთად ბოლშევიკური მოძრაობასაც აძლიერებენ, სურთ ხალხი წესიერსა და მშვიდობიან ცხოვრებას ჩამოაცილონ და ხალხში არევ-დარევა და უკმაყოფილება გააძლიერონ, რასაც არანორმალური მდგომარეობის უფრო გამწვავება მოჰყვება. მშვიდობიანი ცხოვრების საჭირო პირობებს მოკლებული ხალხი ეკონომიურადაც მეტად ცუდ მდგომარეობაშია. სანოვაგის ნაკლებობისა და მისი წარმოუდგენელი სიძვირის გამო ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის. ჩვენ, ართვინის მცხოვრებთა წარმომადგენლები, ზემოაღნიშნულ მდგომარეობათა გამო საბოლოოთ დავრწმუნდით, რომ დაგვიანება, საჭირო ზომების მიუღებლობა, მცხოვრებლებს კატასტროფიულ მდგომარეობამდე მიიყვანს.

2) ართვინის უბნის მცხოვრებნი მოსალოდნელ უბედურების თავიდან ასაცილებლათ საქართველოს რესპუბლიკისაგან საჩქარო დახმარებას და მფარველობას მოითხოვენ.

3) ბათუმის ოლქის ასეთ საშიშ, არაბუნებრივ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლათ ვთხოვთ საქართველოს მთავრობას შემოიყვანოს თავისი ჯარები ჩვენში.

4) უკიდურეს გაჭირვებაში მყოფნი, ვსთხოვთ საქართველოს მთავრობას ასეთი ზომის მიღებით განამტკიცოს ჩვენში წესიერება და ბათუმის ოლქის ავტონომიურად გაერთიანება საქართველოსთან მით სისრულეში მოიყვანოს.

ხელს აწერენ ართვინის მცხოვრებთა ვექილები.

ბორჩხის რაიონის მცხოვრებთაგან.

1) ბორჩხის რაიონი და მთელი ბათუმის ოლქი, რომელსაც, როგორც შიგნით, ისე გარედან ათასნაირი მტრები ემუქრებიან, ვთხოვთ საქართველოს მთავრობას, იხსნას ასეთ მდგომარეობისაგან და მიიღოს ზომები ჩვენში წესიერებისა და მშვიდობიანობის აღსადგენათ.

2) ჩვენი ხალხი, რომელსაც დღეს ემუქრებიან ჩეთნიკები, ყაჩაღები და ბოლშევიკურ დენიკინური ანარქია, ასეთ პირობებისაგან თავის დასახსნელად საქართველოს მთავრობას ვთხოვთ საჩქაროთ შემოიყვანოს ჩვენში მისი ჯარები და მით მცხოვრებთა ფიზიკური არსება და უფლებები დაღუპვისაგან იხსნას.

3) ვთხოვთ იმავე მთავრობას, რათა ჩვენი ოლქი, როგორც განუყოფელი და განუყრელი ნაწილი დედა სამშობლო საქართველოსი, ავტონომიურად გაერთიანოს საქართველოსთან.

მურღულის რაიონის მცხოვრებთა წარმომადგენლებისაგან.

ამა წლის 16 თებერვალს 25 შეიარაღებული ლაზი ჩეტნიკები თავს დაესხნენ მურღულის რაიონის სოფ. მაგეს მცხოვრებლებს, ძალა შემოარტყეს მევლუდ [illegible] სახლს, გაიტაცეს მისი ქალიშვილი და გაიქცნენ. გაიგეს რა მცხოვრებლებმა ეს ამბავი, დაედევნენ ყაჩაღებს და გამოართვეს სროლა, რომლის დროსაც მოკლულ იქნა ზემოაღნიშნული ყაჩაღების მეთაური ფეხლი ოღლი ქიბარი. ამ დღეს, ყაჩაღებმა მოახერხეს მიმალვა, მაგრამ მეორე დღეს, დილის 4 საათზე, ს. ბაშქიოში გაიგეს რა თავისი მეთაურის სიკვდილი, გატაცებული ქალიშვილი მხეცურად მოჰკლეს, რის შემდეგაც ბოლშევიკურ-ვიწრო მიმართულებით გაიქცნენ. ეს საზიზღარი და აღმაშფოთებელი ამბავი აქ მიტომ აღვნიშნეთ, რათა გადმოგვეცა საქართველოს მთავრობისათვის ჩვენი რაიონის და ახლო მიდამოების მდგომარეობა, რომელ რაიონშიც დასახლებულ მოვლენების მგზავსი ხშირად ხდებოდა და ახლაც ხდება სამწუხაროთ ჩვენში ისეთი მდგომარეობა შექნა, რომლის მეოხებით ადამიანის სიცოცხლე, პატიოსნება და მისი უფლებები ფეხქვეშ ითელება.

ზემოაღნიშნულ მდგომარეობის გამო ჩვენ, მურღულის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენლები შევიკრიბენით და ერთხმათ დავადგინეთ:

1) მურღულში და საერთოთ ჭოროხის ხეობაში საჭიროა დაწესდეს შეურყეველი და წესიერი სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

2) მიუხედავად იმისა, რომ მცხოვრებლებმა უკვე შეადგინეს თავისი რაზმი წესიერების აღსადგენად, ისინი მაინც საშიშ მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან მეტად ძნელია იმ ანარქიასთან ბრძოლა, რომელმაც ჩვენში იჩინა თავი და რაც თანდათან ძლიერდება.

3) ჩვენ ვთხოვთ საქართველოს მთავრობას წესიერების აღსადგენათ, მცხოვრებთა მშვიდობიანობის დასაცავათ, შემოიყვანოს ჩვენში თავის ჯარები.

4) ვთხოვთ აგრეთვე იმავე მთავრობას მიიღოს საჭირო ზომები ბათუმის ოლქის, საქართველოს ამ განუყოფელ ნაწილის, ავტონომიურად დედა სამშობლო საქართველოსთან გასაერთიანებლად. ხელს აწერენ წარმომადგენლები. („სამშობლ. საქართ.").

გადასახლების მსურველთა საყურადღებოთ

შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობას მიწათ-მოქმედების სამინისტროს შემდეგი წერილი გაუგზავნა:

შორაპნის მაზრის ზოგიერთი მცხოვრებნი მიდიან სიღნაღის მაზრის ლაგოდეხის რაიონში, ნებადაურთველად სახლდებიან ხსენებული რაიონის სახაზინო მიწებზე და ამით ქმნიან ანარქიას, არევ-დარევას და ხელს უშლიან აგრარულ რეფორმის წესიერ გატარებას. ზოგი მათგანი არღვევენ ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ 1918 წ. 23 თებერვლის გამოცემულ განკარგულებას მიწების გაყიდვის აკრძალვის შესახებ, ყიდულობენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან, რომელთა მიწებზე ჯერ არ გავრცელებულა 1918 წ. 7 მარტის კანონი, ერთი მეოთხედი ერთი მეორედი დღის. მიწას, აძლევენ შიგ დიდ ფას (40 000—80.000 მან. დესეტინაში) იმ იმედით, რომ აგრარულ რეფორმის გატარების დროს მიიზომავს სახაზინო მიწებს. ზოგიც შედის სახელმწიფო ტყეში, ჰკაფავს მას, ანადგურებს ამ ბუნებრივ სიმდიდრეს, რომელსაც შეუძლიან დიდი შემოსავალი მისცეს ხაზინას, აკეთებს ჯობებს ჭაობიან ადგილებში, სადაც მის ოჯახს მოელის მალარიით, ტიფით და სხვა ავათმყოფობით დასნეულება. ჯერ-ჯერობით აღნუსხულია 300—მდე კომლი ასეთი მოძალადეებისა; ადგილის აღწერის დამთავრებისას ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება, მით უმეტეს, რომ ეს პროცესი (ნებადაურთველად დასახლება) ჯერ-ჯერობით არ შეწყვეტილა.

სიღნაღის სამაზრო ერობისაგან წამოყენებულია მოთხოვნილება, ჯერ ამ მაზრის უმამულოთა და მცირე მიწიანების მქონეთა დაკმაყოფილების და შემდეგ გადარჩენილ სახაზინო მიწებზე სხვა მაზრების მცხოვრებთა დასახლების შესახებ. ამ სამართლიანი მოთხოვნის შესასრულებლად უკვე სწარმოებს მუშაობა მეორე წელიწადია. ამას გარდა, ლაგოდეხის რაიონის სახაზინო მიწების უმეტესი ნაწილი დაფარულია ტყით, რომელიც დიდ ღირებულებას წარმოადგენს; გაშიშვლებული ადგილები—კი დაკავებულია ძველად დასახლებულთაგან, რომელთაც ძლივს აკმაყოფილებენ ეს მიწები. ვინაიდან ტყის დაფარული ნიადაგი ნოყიერია, მთავრობას განზრახული აქვს ამ ტყეების გაკაფვა, ტყის მასალის სახალხო მეურნეობისათვის გამოყენება და შემდეგ მიწების ადგილობრივ და სხვა მაზრის უმამულოებზე გადაცემა. ამ მიზნით მთავრობამ კიდევაც მიჰყიდა ტყე ქალაქთა კავშირს, რომელიც შეუდგა მუშაობას. ასეთი მუშაობის (ერთის მხრით ტყის მასალის დამზადების ქვეყნის და მეორე მხრით ადგილობრივთა მიწის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების) წესიერად წარმოებას ხელს უშლის ზემოხსენებულ მოძალადეთა ანარქიული გამოსვლა და თავისი მაგალითით აქეზებს მეორე კიდევ სხვებს ასეთ გამოსვლებზე, რაც დიდ საშიშროებას წარმოადგენს აგრარულ რეფორმის გატარებისათვის ამ მაზრაში. ზოგიერთი იმ რამოდენიმე ათასი მთხოვნელთაგანი, რომელნიც შუამდგომლობენ ლაგოდეხის რაიონში დასახლებას, პირდაპირ მოითხოვენ არ მიეცათ მოძალადეებს სახაზინო მიწები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინიც ძალით დაიჭერენ ადგილებს, ვინც მოასწრებს.

ასეთი საშიშროების თავიდან ასაცილებლათ მე ვთხოვე შინაგან საქმეთა მინისტრს და ადგილობრივ თვითმართველობებს მიეღოთ ნამდვილი ზომები თავის ნებით ჩასახლებულთა წინააღმდეგ, რათა მათ არ მისცენ დაჭერილი ადგილების დამუშავების ნება, და მივეცი განკარგულება ჩემდამი რწმუნებულ სამინისტროს გადასახლების განყოფილებას, რათა ადგილობრივ მკვიდრთა მიწით მოწყობის დროს არ მიიზომოს სახაზინო მიწები მოძალადეებს.

გაუწყებთ რა ყოველივე ამას, გთხოვთ საერთო თვითმართველობების საშუალებით გამოუცხადოთ ეს თქვენი მაზრის მცხოვრებთ, რათა ისინი არ შევიდნენ შეცდომაში, არ დაზარალდნენ ტყუილად ფული ლაგოდეხის რაიონში მიწის უკანონო ყიდვაზე და შრომა ტყიან ადგილების გაწმენდაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გაძევებული იქნებიან დაჭერილ ადგილებიდან და პასუხის გებაში მიცემულნი. ლაგოდეხის რაიონში გადასახლება სხვა მაზრებიდან, გარდა სიღნაღისა, შეჩერებულია, სანამ ამ უკანასკნელი მაზრის მცხოვრებნი არ იქნებიან მიწით დაკმაყოფილებულნი. გადასახლების მსურველნი შეიძლება დასახლებულ იქნან ყარაიაზში, ბორჩალოში ან ახალქალაქის მაზრაში, სადაც მიწები შედარებით ნოყიერია ლაგოდეხის რაიონზე და უკანასკნელშიც ჰავაც საუკეთესოა. პირველ ორ რაიონში გადასახლებულები გადაჰყავს სამინისტროს თავის ხარჯზე, უკანასკნელში—კი გადაყვანის გარდა, დახმარებას უწევს სათესლე ხორბლით, სამეურნეო იარაღებით და შენობებს ანაგებს ტყის მასალით.

მიწათ-მოქმედ. მინისტრი: **ხომერიკი.**

დღიური შენიშვნები

ქართული თუ ოსმალური?

19 მარტი ქართველი ერის გლოვის დღეთ აღიარა პრესამ განურჩევლად მიმართულებისა.

19 მარტის „ვოზროჟდენიე"-ც თავს ისე გვაჩვენებს. თითქოს ისიც გლოვობს ბათუმს. თითქოს სწერს კიდეც ეს გაზეთი, რომ ბათუმი საქართველოს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ დაბოლოს საქართველოსთვის ამ უდავო საკითხს მაინც სადავოდ ხდის.

გაზეთი სწერს: „ბათუმის საკითხი უნდა გადაჭრილიყო და კიდეც გადაიჭრება ალბათ, ადგილობრივად. ის უნდა გამხდარიყო აშკარა მსჯელობის საგნით ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა პარლამენტებისა და მთავრობათა".

რისთვის? განა გაზეთს, რომელსაც თავი მოაქვს საქართველოს ინტერესების დამცველად, ასეთი კითხვა შეეფერება? რატომ გამხადა გაზეთმა ეს უდავო ბათუმი სადავოთ?

მაგრამ გაზეთი ამითაც არ კმაყოფილდება. ის უფრო შორსაც მიდის. წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „პალიასტომი", უცნობი ავტორი შემდეგს სწერს:

„თქვენ მეკითხებით—რას ვფიქრობ მე ბათუმზე...

„არაფერს... სრულიად არ ვფიქრობ...

„სრულიად გადავდევნე ჩემი თავიდან ფიქრი ბათუმზე. ბათუმის ნაცვლად ჩემს თავში ტრიალებს სიტყვა პალიასტომი".

შემდეგ გაზეთი თითქმის ერთ სვეტს იმის მტკიცებას ანდომებს, რომ ბათუმი საქართველოსათვის არაფერია, თუ ფოთი, განსაკუთრებით პალიასტომის ტბა გაკეთდება, გაიწმინდება, შეუერთდება ზღვას, რომ მასში შემოსვლა შეეძლება ოკეანის გემებს.

ყველაფერი კარგი, მაგრამ რატომ დღეს მოაგონდა ამ გაზეთს ეს საუცხოო აზრი?

საქმე შემდეგშია:

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს შესაფერისი საბუთების მოყვანით, რომ გაზეთი „ვოზროჟდენიე", რომელიც თფილისში გამოდის ქართული ფირმით და რუსული შრიფტით ოსმალური, თათრული ზრახვების მატარებელია და არა ქართულის.

და როცა გაზეთი ჩვენი ხალხის ყურადღებას პალიასტომისა და ფოთისაკენ მიაპყრობს, როცა ის გვეუბნება ბათუმზე ფიქრი განდევნეთ თავიდანო,—ეს იმის ნიშანია, რომ ის აშკარათ აკეთებს საქართველოს იმ მტერთა საქმეებს, რომელნიც მრავლად მოიპოვებიან როგორც ოსმალეთში, ისე აზერბეიჯანში.

ჩვენი მტრების მიზანია ბათუმის მოწყვეტით საქართველოს გარიყვა იმ საერთაშორისო გზიდან, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის.

ბათუმი—ყარსი—ბაქო, აი იმ გზის მიმართულება, რომელმაც საქართველოს სამხრეთით უნდა გაურბოს, რომელმაც უნდა გარიყოს საქართველო!

ამ გზის გეგმა უკვე დიდი ხანია შედგენილი აქვთ საქართველოს მტრებს. ამიტომ ცდილობენ ისინი საქართველოს სხეულის დასახიჩრებას მისი ნაწილის—სამუსლიმანო საქართველოს ჩამოშორებით, ამიტომ ცდილობენ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკების შექმნას.

ასეთია საქართველოს მტრების განზრახვანი ამისთვის იხარჯება მილიონები მათ მიერ და ამ აზრებს ქადაგებს ჩვენში „ვოზროჟდენიე" ასე აშკარათ, ასე მოურიდებლად... **გ. მ.**

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

22 მარტი.

ფრანგული პრესის ცნობები.

ერთა ლიგაში.

ერთა ლიგის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი საერთაშორისო ორგანოს დაარსების შესახებ, რომელსაც მინდობილი ექნება შემუშავება ყველა ზომებისა, რომლებიც ეხება თავისუფალ მისვლა-მოსვლასა და ტრანზიტს, მალე იქნება განხორციელებული. საერთაშორისო კომისიის, რომელსაც მინდობილი აქვს თავისუფალი მისვლა მოსვლისა და ტრანზიტის შეწყობა—ოთხშაბათს სხდომა ქონდა. ამ სხდომაზე მან გადაწყვიტა გადაქცეულიყო მისვლა-მოსვლისა და ტრანზიტის საერთაშორისო კომიტეტათ და ერთა ლიგას დაემორჩილოს- ეს კომიტეტი იკრიბება მხოლოდ დროებით. რამდენიმე თვის შემდეგ მას შესცვლის მუდმივი ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის საბჭო მიანდობს საერთაშორისო კონფერენციების წინასწარი პროექტების შედგენას, რომლითაც უნდა მოწესრიგდეს ტრანზიტის საქმე.

ოსმალეთის საკითხები თემთა პალატაში.

ლონდონიდან მოსული დეპეშის მიხედვით თემთა პალატაში ბონარ-ლოუს კონსტანტინეპოლის ოკუპაციის შესახებ განცხადება გაუკეთებია.

გერმანია და ფრანგული პრესა.

გერმანიის ამბების გამო „ფიგარო" სწერს: ჩვენ უნდა დავადგეთ საზავო ხელშეკრულების აღსრულების მკაცრი მოთხოვნის გზას. მთელი ჩვენი პოლიტიკა გერმანიის მიმართ დამყარებულია ამ თვალსაზრისზე. შინაური ბრძოლა, რომლის ასპარეზიც გერმანიაა, ჩვენთვის სულ ერთია, ვინამ ამით ხელშეკრულების აღსრულება არ შეფერხდება. იმ შემთხვევაში თუ ჩვენ იძულებული ვიქნებით გადავდგათ სამხედრო ან დიპლომატიური ნაბიჯები, ეს არა იმიტომ, რომ ჩვენ მეზობლებში არეულობაა, არამედ მხოლოდ იმიტომ მოხდება, რომ მათი ნაკისრი ვალდებულებანი არ იქნება აღსრულებული.

„პტი ჟურნალი" სწერს: ნათლად სჩანს მილიტარისტების სრული დამარცხება, მაგრამ ებერტ-ბაუერის მთავრობამ უნდა გაიმარჯოს აგრეთვე სპარტაკელებზედაც, რომელნიც, როგორც სა[illegible] ქალაქში, აგრეთვე სამრეწველო ოლქებში აღძრავენ თავის მოთხოვნილებებს და მზად არიან კრიზისი თავის სასარგებლოდ გამოიყენონ.

საშიშარია, რომ სპარტაკელების ალაგმვა უფრო ძნელი იქნება, ვიდრე კაპპისა და ფონ-ლიუტვიცის და რომ მოკავშირენი იძულებულნი იქნებიან მიმართონ ძალდატანების აუცილებელ ზომებს, რათა დღეს და მომავალში თავისი ინტერესები დაიცვან.—„ლე ჟურნალი": არის განსაზღვრული ტენდენცია დამშვიდებისაკენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქარიშხალმა გაიარა და მომავალში ამგვარი ამბებს აღარ უნდა ველოდეთ. მოკავშირენი მოვლენებს ახლა უფრო ფხიზლად უნდა ადევნებდნენ თვალ ყურს, ვიდრე ოდესმე უწინდებით.

დოქტ. კაპის მიერ გერმანიაში აღდგენილი სამხედრო დიქტატურა, საბოლოოდ დამარცხდა. კაპი და გენ. ლიუტვიცი გაიქცნენ. ბერლინს განაგებს ებერტის მთავრობის იუსტიციის მინისტრი. იუწყებიან, რომ ნამდვილი მთავრობა ცოტა ხანში დაბრუნდება ბერლინში. ჯარის კაცთა და მუშებს შორის შეტაკება კვლავ ხდება, განსაკუთრებით გერმანიის დასავლეთ ნაწილებში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ელბერფელდსა და ბარმენში კომუნისტები ბატონობენ. ლაიპციგის ქუჩებში ბრძოლაა. მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის პირად შემადგენლობისათვის არავითარი ზიანი არ მიუყენებიათ.

ოსმალეთში.

ქაიროდან მოსული ცნობით ლიბანში დიდი მღელვარება ყოფილა. ადმინისტრატიული საბჭო მივიდა გენ. გუროსთან, რათა თავისი პროტესტი განეცხადებინათ ყველა მეზობელ სახელმწიფოების ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევაზე, და დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ დამოუკიდებლობის დაცვის შესახებ. გენ. გურომ დაარწმუნა საბჭო, რომ საფრანგეთის მიზნები თქვენი ქვეყნის მიმართ ჯერ არ შეცვლილა.

ამერიკული ცნობები.

ნოვოროსიის ლტოლვილები.

ლონდონი. 29 თებერვალს ნოვოროსისკიდან გავიდა გემი „გამბურგი", რომელზედაც კონსტანტინეპოლში მიმავალი მრავალი ლტოლვილი იყო. მათ შორის იყვნენ დიდი მთავრის (?) ასულები ოლღა და მარიამი, რომელთაც ბრალი ედებოდათ გერმანელების მომხრეობაში.

ინგლისური პრესის ცნობები.

საფრანგეთის ჯარების სარდალი ახლო აღმოსავლეთში.

პარიზიდან იუწყებიან: უკან ბრუნდება გენერალი დესპერე, რათა მან ახლო აღმოსავლეთში საფრანგეთის ჯარების სარდლობა მიიღოს.

ბოლშევიკების ცნობები.

სამხედრო ცნობა.

დასავლეთის ფრონტი. მოზირის რაიონში ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მოზირ-რეჩიცის ხაზზე მტრის შეტევა მოიგერია. ოვრუჩის ჩრდილო-დასავლეთით 36 ვერსზე და კოროსტენის ჩრდილო-აღმოსავლეთით 60 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ვოლინის ნოვგოროდის რაიონში ავიღეთ რა ამ ქალაქის მიდამოები, ვიბრძვით ქალაქის ასაღებად. ბერდიჩევის რაიონში ჯარი მდ. სლუჩისაკენ იწევს. ტულჩინის რაიონში ჩვენთვის სასარგებლოთ ბრძოლა სწარმოებს. პოდოლის კამენეცის რაიონში უშიცის სამხრეთით ბრძოლა გრძელდება.

სამხრეთის ფრონტი. პერეკოპის რაიონში ს. ხორლისთან მტრის დესანტი დავამარცხეთ სავაშის რაიონში სროლაა. მტერი ზღვიდან გენიჩესკს უშენს. კავკასიისა და ნოვოროსიისკის მიმართულებით ჩვენი ჯარი ყუბანზე გადავიდა.

სტავროპოლის ფრონტზე მაიკოპის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ლაბინსკაიას მიაღწია. ვლადიკავკასის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ზოლსკაია და პროხლადნაია აიღეს.

აღმ. ფრონტი. სერგიოპოლის რაიონში კოპალზე ჩვენი შეტევა გრძელდება.

ბაქო

უმაღლეს „კრუგი" დელეგაციაზე თავდასხმის გამო 19 მარტს მთელ ქალაქში ხდებოდა ჩხრეკა და დაპატიმრება. სჩხრეკდნენ ბინებს, აპატიმრებდნენ ქუჩაში მიმავალთ, განსაკუთრებით მუშებს. ღამის 10 ს. პოლიციამ ალყა შემოარტყა ცენტრალურ მუშათა კლუბს, დააპატიმრა 40 კაცი და დაბეჭდა პროფესიონალურ კავშირთა საბჭო და ცენტრო კლუბი; დახურეს აგრეთვე რაიონის კლუბები. ცენტრალურის დაბეჭვის გამო დაიხურა ყველა იქ მოთავსებული პროფესიონალური კავშირები.

— 19 მარტს სალამოდან ქუჩებში გაძლიერებული იყო წესრიგის დამცველთა რაზმი.

— 20 მარტს საჩქაროდ იქნა მოწვეული მთავრობის სხდომა მიმდინარე მომენტის განსახილველათ.

— 20 მარტის დილიდან ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის განკარგულებით ყველა კერძო აბონენტების ტელეფონები ამოღებულ იქნა ტელეფონთა ხლართიდან. მუშაობს მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებათა ტელეფონის აპარატები.

— „სამხრეთ-რუსეთის მთავრობის" დელეგატებმა წინადადება მისცეს აზერბეიჯანის მთავრობას საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ. ნავთის მაგივრათ ისინი შაქარს, რკინას და პურს იძლევიან. დელეგატებმა აძრეს აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რათა „მოხალისეთა ჯარები" გაუშვან აზერბეიჯანის ტერიტორიაზე. უკანასკნელ წინადადებას მთავრობა, როგორც ამბობენ, უარყოფითად უყურებს. წინადადებებს ამ დღეში განიხილავს აზერბეიჯანის მთავრობა.

— უმაღლესი „კრუგის" დელეგაციის წევრმა ბაზელმა თავდასხმის შემდეგ მიმართა დაპატიმრებულ ბოროტ-განმზრახველს, რომელმაც ბომბი ისროლა კითხვით, თუ რამ აიძულა ის ყუმბარა ესროლა დელეგაციისთვის. „ტერორისტმა", რომელიც იმ დროს რომელიღაც მარშს მღეროდა, ასე უპასუხა; „ამისთვის მე სასყიდელი მომცეს" ო. ბოროტ-გამზრახველი მთვრალსა ჰგავდა. (გ. რ.)

ახალი ამბები

ოფიციალური ცნობა. ვენიდან გაზ. „ნიუ პრეს"-ის 1 ნომერში მოთავსებული იყო ცნობა იმის შესახებ, თითქოს საქართველოს მთავრობას და გენ. დენიკინის შორის მოხდა შეთანხმება მოხალისეთა ჯარის საქართველოში შემოშვების შესახებ, ამით კატეგორიულად ცხადდება, რომ ხსენებული ცნობა არ შეესაბამება სიმართლეს და რომ, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთში მომხდარი ამბების გამო ჩვენს საზღვარს მიადგებიან დენიკინის ჯარის ნაწილები, ან მისი წარმომადგენელი, საქართველოს მთავრობა, როგორც ნეიტრალური სახელმწიფო, იმოქმედებს საერთაშორისო უფლების ნორმის თანახმად.

◆ **საქართველოს სენატმა 19 მარტს** გაითვალისწინა რა მთავრობის ცნობა ბათუმის საკითხის გადაწყვეტის შესახებ, დაადგინა: ნიშნად მწუხარებისა და გულის ტკივილისა იმ გადაწყვეტილების გამო, რომლითაც ბათუმი დროებით მოჰგლიჯა საქართველოს რესპუბლიკის ცოცხალ სხეულს, სენატის დღევანდელი სხდომები დახურულ იქნეს და ყოველივე სენატის მოქმედება ამ დღეს შესწყდეს.

◆ **ლტოლვილები.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო სოფელ შორაგლის (ერევნის გუბერნია) ლტოლვილებს რიცხვით 40 კაცს სადგურ სანაინიდან სადგურ პოილომდე საქართველოს რკინის გზით აზერბეიჯანში გამგზავრებისა.

◆ **ინგლისის კონსული.** თფილისში ინგლისის მთავრობამ თავის კონსულად დანიშნა ბ-ნი ჯონ ლოდონი.

◆ **სომხეთის დიპლომატიურმა** წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობასთან ბ. ევანგულოვმა სამსახურს თავი დაანება და ერევანში გაემგზავრა.

◆ **სათესლე მინდვრების გასაფართოებლათ.** დამფუძნებელი კრების აგრარულ კომისიაში მიწათმოქმედების მინისტრმა წარუდგინა ორი პროექტი, რომლითაც მინისტრი ითხოვს 23 158 015 მანეთს სახელმწიფო სათესლე მინდვრების გასაფართოებლად და სათესლეების შესაძენად.

◆ **მთავრობის თავმჯდომარემ** შემდეგი დეპეშა მიიღო ბათუმიდან: ბათუმის რაიონის რკინის გზის მუშა მოსამსახურეებმა 19 მარტს დილის 12 საათზე მოისმინეს რა მოხსენება, შეიკრიბენ და გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ქ. ბათუმი და მისი ოლქი ეკონომიურად და ეთნოგრაფიულად შეადგენს საქართველოს განუყოფელ ნაწილს რომ მისი საქართველოდან ძალით ჩამორთმევა უდრის თვით საქართველოს რესპუბლიკის გაქრობის სურვილს, რომ უმაღლეს საბჭოს ბათუმის შესახებ გადაწყვეტილება ფეხქვეშ სთელავს ბათუმისა და მისი ოლქის მცხოვრებთა არა ერთხელ გამოთქმულ სურვილს საქართველოსთან შეერთების შესახებ—გამოსთქვამს უღრმეს პროტესტს ასეთი ძალადობის წინააღმდეგ და მოითხოვს ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოსთან გაერთიანებას".

◆ **უღრმეს მადლობას უძღვნის** რაფიელ ჩხეიძის მეუღლე [illegible] მხატვარ კოტე ქავთარაძეს თავისი ნაწარმოების რაფიელის გადიდებულ სურათის მიძღვნისათვის.

◆ **ტუაფსისა და სოჭის ოლქის ქართველების** ყრილობამ დაადგინა ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, რათა შავი ზღვის გუბერნიაში მთავრობამ დანიშნოს საგანგებო პოლიტიკური წარმომადგენელი, რომელიც დაიცავს საქართველოს ქვეშევრდომთა ინტერესებს.

◆ **გორში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა** სასარგებლოთ თფილისის საკრედიტო დაწესებულებების მოსამსახურეებმა 13 თებერვალს შესწირეს თავიანთი ხვედრი პური, სულ 26 ფუთი და 20 გირვანქა. (მესამედი).

◆ **ქალაქთა კავშირმა**, გორის მუნიციპალიტეტის მოხსენების თანახმად, დეპეშით აცნობა რესპუბლიკის ქალაქებს, რომ საჭიროა ადგილობრივი კომიტეტების შედგენა შემოწირულებათა და დახმარების ფართოდ მოსაწყობად. ქალაქებიდან მეორე დღესვე მოვიდა ცნობები, რომ ყველგან შესდგა კომიტეტები, რომლებიც შეუდგნენ შემოწირულებათა მოგროვებას თანახმად მთავარი ბიუროს დადგენილებისა, ქალაქთა კავშირმა ყველა ქალაქს დაუგზავნა დამტკიცებული ფორმის საკვიტანციო წიგნაკები ფულისა და ნივთების შესაგროვებლად. წიგნაკები, მოთხოვნილებისამებრ დაეგზავნა: ქუთაისის გამგეობას (26 ფულისთვის+10 ნივთისთვის), სიღნაღის გამგეობას (1+5), ფოთი—(16+5), ხონის—(10+3), ონის—(5+2), ბორჯომის—(10+3), სოხუმის—(16+6), დუშეთის—(10+3), ზესტაფონის—(10+3) ზუგდიდის—(10+3), კოჯრის—(5+3), ახალქალაქს — (5+2), ახალციხის—(5+2), ლანჩხუთის—(6+2). გარდა ამისა თფილისში მიიღეს წიგნაკები: სამტრედიისთვის (20 ც.), ოჩამჩირისათვის (15 ც.), თელავისთვის (20 ც.), გუდაუთისთვის 15 (ც.)

◆ **ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის** დირექტორი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მუზეუმში ამ ჟამად თავისუფალია ადგილი მუზეუმის საპროფესიო ცოდნათა განყოფილების გამგისა. თვიური ჯამაგირი 3200 მან. და 30 პროც. დამატება საჭიროა უმაღლესი ხელოვნური (სამეურნეო ან სატექნიკო სასწავლებლის მოწმობა ან ხაზვების-მეტყველების ფაკულტეტის დიპლომი. განცხადება სწავლა განათლების მოწმობით, წარსულ მოღვაწეობის აღწერით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადად მოსალაპარაკებლად მსურველთ შეუძლიათ მიმართონ მუზეუმის დირექტორს ყოველ დღე 1—2 ს. მუზეუმის დირექტორი პროფესორი ალ. ჯავახიშვილი.

◆ **კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში.** 18 მარტს გვარდიის ცხენოსან დივიზიონის გვარდიელთა კრებაზე არჩეული იქნა კულტურულ განმანათლებელი სექცია. თავმჯდომარედ გვარდიის ოფიცერი დავ. წერეთელი, მის ამხანაგად გვარ. აკაკი ქიქაძე, მდივნად გვარ. გრ. კუჩხელია, ხაზინადრად გვარ. ოფიცერი ელ. ყანჩელი.

◆ **ავლაბრის რაიონს**, გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტმა მიიღო ამხ. იოსებ ხუციშვილისაგან 20,000 მანეთი, ავლაბრის მუშათა კლუბში გამართულ საღამოდან შემოსული.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, სტრაოსტინის, ღრონზე პოლიევის, ზალიპსკის და სამანინის მონაწილეობით „სევილიელი დალაქი“.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** წინადადება მისცა ლეჩხუმის სამაზრო მილიციის უფროსს, რათა მაზრაში ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ საქ. წითელი ჯვრის წარმომადგენლებს.

◆ **ტყეების ექსპლოატაციისათვის.** იმერეთის სამაზრო ერობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მან შუამდგომლობა აღძრას სადაც ჯერ არს, რომ მაზრაში მდებარე ყველა ტყეები სამაზრო ერობას გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

◆ **მილიციის შენახვად** შინაგან საქმეთა მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა თფილისის ქალაქის გამგეობას 1919 წ. მილიციის შენახვაზე გაწეულ ხარჯების 50 პროცენტის ანგარიშში მიეცეს 5,775,532 მანეთი.

◆ **მოვალეობის შეუსრულებლობისათვის.** ამ დღეებში ზუგდიდის ციხიდან გაიქცა რამოდენიმე ტუსაღი. ამის გამო ერობის გამგეობამ ციხის ადმინისტრაცია სამსახურიდან გადააყენა და პასუხის გებაში მისცა.

◆ **ეროვნულ მუზეუმის ხარჯთაღრიცხვისა და შტატების დამტკიცება.** განათლების კომისიამ მიიღო და დაამტკიცა განათლების მინისტრის პროექტი ეროვნულ მუზეუმის ხარჯთაღრიცხვისა და შტატებისა. ამ პროექტის მიხედვით სახელმწიფო ხაზინიდან ყოველ წლიურად უნდა გადაიდოს 1,257 300 მან.

◆ **საგანგებო რაზმის** უფროსის თანაშემწედ დაინიშნა ალ. ვლ. ჩიქვაძე.

◆ **შორაპნის სამაზრო ერობამ** შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ჭიათურიდან გაზიდულ შავ ქვაზე დაწესდეს ერთი მთლიანი გადასახადი, რომელიც შემდეგ ფოთისა და ქუთაისის ქალაქის თვითმართველობათა, შორაპნის სამაზრო ერობის და ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შორის განაწილდება. ხოლო დღემდე არსებული ზემოხსენებულ ქალაქისა და დაწესებულებების სასარგებლოთ ცალ-ცალკე გადასახადი გაუქმებულ იქნას.

◆ **რკინის გზის სავადმყოფოს ავადმყოფები** მადლობას უცხადებენ ექიმ მ. ო. ზანდუკელს, რომელიც დიდის ყურადღებით ეპყრობოდა ავადმყოფებს. სთხოვენ მას ინახულოს ავადმყოფები ჩამოსვლისთანავე. ავადმყოფების მინდობილობით აკაკი დარცმელიძე.

◆ „ეშმაკის მათრახი“-ს რედაქციაში იყიდება ძველი ჟურნალის ზოგიერთი ნომერი, იყიდება აგრეთვე გვარდიის დღესასწაულის საგანგებოთ შედგენილი ნომერი. მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 24.

◆ **ახალი წიგნები** გამოვიდა და იყიდება საკუთარ წიგნის მაღაზიაში (რუსთაველის ქ, № 9, სასტუმრო „ორიანტის“ ქვეშ) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემანი: 1) ტ. კლდიაშვილის მოთხრობების I ტომი. 2) აბდულ-მესიანი—ი. შავთელის. 3) კიკოლიკა და კუდაბზიკა—გ. წერეთლის მოთხრობა. 4) პირველი ნაბიჯი—რომანი მისივე.

— რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მუშათა ცხოვრების“ მორიგი ნომერი, რომელშიდაც მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1) მოწინავე, 2) მეცნიერულ მუშა მოსამსახურეთა ყრილობის გამო—შ. აბლოშვილისა, 3) სახელმწიფო კანონმდებელი და სახელმწიფო სამუშაოს მიმცემი—ი. ტიზოვისა, 4) პროფ. კავშირების შემადგენლობის შესახებ—ძველი მარქსისტისა, 5) საშიშო მდგომარეობა—მეფისა, 6) ომის სურათები—დ. თურდოსპირელისა, 7) მუშის მოგონებანი—ს. დ—სა, ლექსები, ქრონიკა და სხვა.

◆ ლეჩხუმელი ძიძის, გარდაცვალებულ კესო გუდუშაურის სახსოვრად მიხეილ რურუამ გადაიხადა ერობას სამი თვით გამოწერა გაზეთი „ერთობა“.

ცნობები.

ოთხშაბათს, 24 მარტს, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში დანიშნულია საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს საგანგებო სხდომა.

უცხოეთი

აზერბეიჯანი

თავდასხმა უმაღლეს „კრუგის“ დელეგაციაზე. აზერბეიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს: 19 მარტს, ღამის 12 ნახ. ს., როდესაც დონის, ყუბანისა და თერგის უმაღლესი „კრუგის“ დელეგაცია სამხედრო მინისტრის ბინიდან გამოდიოდა და ეტლში ჯდებოდა — უკანასკნელს ვიღაცამ ყუმბარა ესროლა; ყუმბარა ეტლს მოხვდა, დაეცა ძირს და შემდეგ გასკდა, მაგრამ არავისთვის ზიანი არ მიუყენებია. დარაჯმა, რომელიც სამხედრო მინისტრის კარებთან იდგა, ესროლა ბოროტმოქმედს; ბოროტმოქმედმა მეორე ყუმბარა დარაჯს ესროლა, რომელიც ცოტათი დაზიანდა შუბლზე. ბოროტმოქმედი რუსი მუშა აღმოჩნდა, რომელიც იქვე დაიჭირეს; ორი სხვა ბოროტმოქმედი გაიქცა. დაჭერილს თან აღმოაჩნდა ორი ყუმბარა და რევოლვერი. თავდასხმის მსხვერპლი არ მოყოლია. თავდასხმის გამო მთელ ქალაქში მოახდინეს ჩხრეკა და დაპატიმრება. მიღებულია ზომები საქმის გამოსარკვევად და დანარჩენ ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად.

რუსეთი

„მოხალისენი“ და ყაზახობა. გაზ. „ვოლნი გორეცის“ საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს: მოხალისეების დამარცხება გეორგიევსკის რაიონში იმით აიხსნება, რომ ყაზახობა უარს ამბობს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაზე. გეორგიევსკის ფრონტი მიატოვეს თერგელებმა; მათ მიყვნენ ყუბანელებიც, რომლებიც ქ. გეორგიევსკში ბინადრობდნენ და ბოლშევიკებიც დაუბრკოლებლად მოიწევენ წინ. ყველაზე უფრო არა საიმედო აღმოჩნდა თერგის ყაზახობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყოველთვის ითვლებოდნენ მოხალისეთა საუკეთესო მეომრებად.

მატარებლის დამსხვრევა გენ. ერდელის მატარებელი, რომელიც კავკასიისაკენ მიდიოდა, დაიმსხვრა სადგ. [illegible] შორის. დაშავდა ასამდე კაცი; მატარებლის დამსხვრევის მიზეზი ხიდის აფეთქება. („ვ. გ.“)

ბოლშევიკები კავკასიაში. პიატიგორსკ-კისლოვოდსკის რაიონისაკენ მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია. ბოლშევიკებმა დაიჭირეს პროხლადნაია. მოხალისეთა უკანასკნელი რაზმებმა თავი კავკასს შეაფარეს. მდგომარეობა გაურკვეველია. ოსეთში ბევრი შინაგანი ფრონტებია; ანარქიამ ფრთები გაშალა. ინგუშეთში ჯერ ჯერობით სიწყნარეა. („ვ. გ.“)

პოლივანოვი—სამხედრო მინისტრი. გელსინგფორსიდან მოსული ცნობების თანახმად საბჭოთა მთავრობაში პორტფელების განაწილება მოხდა. სამხედრო მინისტრად ტროცკის მაგიერად დაინიშნა გენ. პოლივანოვი. ტროცკიმ აიღო გზათა და სამსახურეთა საქმეების მთავარ კომისრის პორტფელი. გენერლები ეგორიევი და ივანოვი დაინიშნენ ციმბირისა და თურქესტანის ლაშქართა მთავარსარდლებად. („ალერტ.“)

ჩრდილო კავკასიაში. თავდაცვის საბჭოს მოწოდებით მიმართა ამიერ-კავკასიაში მყოფ მთიელთა ინტელიგენციას დაბრუნდეს სამშობლოში, რადგანაც რესპუბლიკაში ინტელიგენტურ ძალთა დიდი ნაკლებობაა. თუ კი ახლო ვადაში ინტელიგენტები არ დაბრუნდებიან—მათ წაერთმევათ რესპუბლიკის ქვეშევრდომობის უფლება. დაღესტანში ძალზე გავრცელდა პარტახიანი ტიფი. სოფ. თანაში 5 თვის განმავლობაში დაიხოცა 500 კაცი, უნარაში—200 კ. დარგინის ოლქში არ არის კაცი, რომელიც ტიფით არ ყოფილიყოს დაავადებული. ამასთანავე ძალზე გავრცელდა შიმშილობა: ლუკმის ანაბარად დარჩენილი ქალები და ბავშვები დაეხეტებიან სოფლიდან სოფელში და დახმარებას ითხოვენ.

— თერგის ოლქში მოხდა რამოდენიმე ფარული თათბირი მთიელთა ინტელიგენციისა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ოსებმა, ინგუშებმა და სხვ. წარმომადგენლებმა. განხილული იყო პოლიტიკური მომენტი. გამოირკვა სამი პოლიტიკური ხაზი: 1) ძალა უფლების რევოლიუციონური გზით ხელში ჩაგდება 2) ძველი მთავრობის აღდგენა და 3) ბოლშევიკებთან შეერთება. ხანგრძლივ მსჯელობის შემდეგ სამივე წინადადება უარყოფილ იქნა. პრაქტიკული შედეგი ამ თათბირებისა მხოლოდ ის არის, რომ შეთანხმება მოხდა ინგუშებსა და ოსებს შორის იმის შესახებ, რათა შეერთებულის ძალით შეებრძოლონ ყოველგვარ ნაციონალისტურ გამოსვლებს ამ ორ ხალხთა შორის.

სპარსეთი.

ბოლშევიკური საფრთხე. სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაზეთ „ტაიმს“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს ბოლშევიკურ საფრთხის შესახებ შემდეგი განაცხადა: ერთად-ერთი საფრთხე, რომელიც ჩვენ გარედან მოგველის, ეს არის ბოლშევიკური საფრთხე. დენიკინის კოლჩაკის დამარცხება კიდევ უფრო აძლიერებს ამ საფრთხეს. ჩვენ მწუხარებას აღიძრებს აგრეთვე ბოლშევიკების უკანასკნელი გამარჯვება თურქესტანში, საიდანაც მათ შეუძლიათ დაიკავონ სპარსეთის პროვინცია ხორასანი. სპარსეთის მთავრობამ მიიღო შესაფერი ზომები ბოლშევიზმის საფრთხის თავიდან ასაცილებლად: ყველა ქალაქში და პროვინციებში მან მოაწყო განსაკუთრებული რაზმები, რომლებიც დარაჯად უდგანან საზოგადოებრივ მშვიდობიანობას.

ინგლისის ჯარების შესახებ. გაზ. „ტაიმსის“ თანამშრომლის კითხვაზე—რამდენი ინგლისელი ჯარია ამ ჟამად სპარსეთში, სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: დანამდვილებით არ შემიძლია ვთქვა, რამდენია სპარსეთში ინგლისელი ჯარი. ჯარი გაგზავნილი იყო სპარსეთში მაშინ, როდესაც სპარსეთს საფრთხე მოელოდა კავკასიის მხრით. დღეს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა და ინგლისის ჯარიც დღეს შესაძლებელია გაყვანილი იქნეს სპარსეთის საზღვრებიდან.

ოსმალეთი.

ოსმალეთის ბედისათვის. „ციურიხის გაზეთი“ ვრცელ წერილში ეხება ოსმალეთისა და ევროპის ბედს და შემდეგ დასკვნამდე მიდის: ევროპის ხსნა ანარქიისაგან და უცხო ძალთა მბრძანებლობისაგან შეიძლება მხოლოდ სამი შემდეგი პირობების დაცვით: საბოლოო დაახლოვება და შერიგება საფრანგეთისა და გერმანიის რესპუბლიკებს შორის; შერთება ერთ საკავშირო სახელმწიფოში ყველა იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც ავსტრო-უნგრეთის ნანგრევებზე აღმოცენდნენ; ბალკანეთის ხალხთა და მცირე აზიის შეერთება ერთ ევროპიულ კავშირში ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ, რომელშიაც ოსმალეთიც უნდა შევიდეს.

ინგლისი.

რუსეთის საკითხი. გაზ. „დეილი ხრონიკლ“-ი რუსეთის შესახებ სწერს: დღეს საკითხი იმაში კი არ არის,—გვიყვარს თუ არა ჩვენ საბჭოთა მთავრობა, გვეჯავრებიან თუ არა ლენინი და ტროცკი,—არამედ იმაში, ვაწარმოოთ ომი რუსეთთან თუ არა, ან კიდევ—არც ომი ვაწარმოოთ და არც ზავი შევკრათ. არც ერთ მოკავშირე სახელმწიფოს არ სურს ომი რუსეთთან. მათ არ ჰსურთ გაგზავნონ ჯარი რუსეთში. საბოლოო ზავი რუსეთთან უფრო კარგი იქნებოდა, თუ ის შესაფერი პირობებში შეიკვრებოდა. უწინარეს ყოვლისა უნდა აღიარებული იქნეს რუსეთის განაპირა ქვეყნების დამოუკიდებლობა და დაცული ევროპის ინტერესები მცირე აზიაში; აგრეთვე აღიარებული უნდა იქნეს სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთთან. ამ პირობებზე რუსეთი თანახმაა. თუ ეს პირობები შესრულებული იქნება, ამბობს გაზეთი, ევროპა ბევრს მოიგებს.

იუსტიციის სამინისტროში

სოხუმის ოლქის სასამართლოს ა. წ. თებერვლის 16-ის საერთო კრების დადგენილებით სოხუმის პირველი და მეორე საგამომძიებლო უბნებიდან შესდგა სამი საგამომძიებლო უბანი.

სოხუმის პირველი საგამომძიებლო უბანი შეიცავს: ქ. სოხუმს გარე უბნებით: ლეკუოპი, იაშტუხი, „მატროსსკაია სლობოდა“ ბირცხა, კამეროთ ქ. სოხუმში.

მეორე შეიცავს: გუდაუთის საგამომძიებლო უბანს ახალ ათონს და პსირცხას სოფლის საზოგადოებებს მდინარე კოდორამდე, სახელდობრ: 1) ეშერა: სოფლებით: ეშერა სამხუთის და აჯამზიეთის, 2) გუმისტანის: სოფლებით: გუმისტა, აჩარა, 3) დრანდის:—სოფლებით: დრანდა „ახ ხიფერსკოე“, „სტარო ჩერნიგოვკა“, „ნიკოლაევ-ანასტასიევკა“, „ვლადიმიროვკა“, „ესტონკა“, პერსატოთ, პშაპი, მაჩარტი, მერხეული, გულრიპში, „მიჯერაკა“, კელასური, —4. მერხეული: სოფლებით: „მიხაილოვსკოე“, კოხორა, აშპაიარა, დმიტრიევსკოე, ანდრეევსკოე, ცხარა, შუბარა, გუმა ბაზრული, რუსტავ ბიმ ყურულში, პავლინოვკა, „სტრუჟკინო“, ლიტერატორ ჩივაზლიკი, აზანტა. კამეროთ სოხუმის მეორე საგამომძიებლო უბნისა არის ქ. სოხუმში.

სოხუმის მესამე საგამომძიებლო უბანში, გამომძიებლის წებელდაში ცხოვრებით, შედის (მდ. მიჯურის და კოდორის საზღვრებში) საზოგადოებები: 1. წებელდის სოფლებით: წებელდა, მ. ამტყელი, „ზაბროვკა“, „კრივენი“, „გეორგიევსკოე“, აზანტა, „ოლგინსკოე“, „პოლტავსკოე“, „ოკუმისკოე“, „რომანოვსკოე“, აპიანა, 2. მერხეულის—სოფლებით: მერხეული, „ნოვო მიხაილოვკა“, ბაბაპანი. 3. აჟარის—სოფლებით: ლათა, ჩხალტა, ჟენიგაში, ქვემო ლათა. 4. ლინდავის—სოფლებით: ზემო-ლინდავა, ქვემო ლინდავა, „შეილიტკა“, „სპასოვკა“, „სუუკორონოვკა“, „დემიდოვკა“, „ნიკოლაევის უბანი“, „ოდესკოე“, „კონსტანტინოვკა“, „პავლოვკა“, ხუტორჯალი, ჩეტილი, „ეკატერინინსკოე“, მარინსკოე, „ალექსანდროვსკოე“.

ესეთი განაწილება იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებულია.

საქართველოს კოოპერატიული ბანკი

ამ რამდენიმე დღის წინათ თფილისში შესდგა საქართველოს კოოპერატიული ბანკის აქციონერთა ყრილობა. ყრილობას დაესწრო დაახლოვებით 170 რწმუნებული რესპუბლიკის სხვადასხვა კოოპერატივებისა. ყრილობას მოეხსენდა ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ბანკის წესდება. წესდებაში შეტანილ იქნა მხოლოდ ერთი ცვლილება: ძირითადი თანხა გადიდებულ იქნას ხუთიდან ოც მილიონამდე, რის შესახებ უნდა აღიძრას შესაფერი შუამდგომლობა ფინანსთა მინისტრის წინაშე.

არჩეულ იქნა გამგეობა სამი პირისაგან და საბჭო თერთმეტი პირისაგან. გამგეობაში აირჩიეს: გ. ა. დუმბაძე, ა. ნ. ინწკირველი და ვ. კახნიშვილი. საბჭოში აირჩიეს: გ. ლასხიშვილი, გ. წულუკიძე, ს. მეშველიანი, ა. ლოსკუტოვი, შ. გოგებაშვილი, რ. გოგუა, გ. ნაცვლიშვილი, პ. გოგიაშვილი, დ. ქადაგიძე, ი. თაქთაქიშვილი და ი. ფორაქიშვილი.

18 მარტს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის შენობაში შესდგა პირველი სხდომა საბჭოსი, გამგეობისა და სარევიზიო კომიტეტისა. სარევიზიო კომიტეტის წევრმა შ. გოგებაშვილმა გაუძღვა სხდომას საქმის მდგომარეობა. არჩეულ იქნა საბჭოს პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ გ. ლასხიშვილი, მის ამხანაგად გ. წულუკიძე და შ. გოგებაშვილი, მდივნად ი. ფორაქიშვილი.

დაევალა გამგეობასა და საბჭოს პრეზიდიუმს დაუყოვნებლივ მოამზადონ საკითხი ბანკისათვის ბინის შესახებ. განზრახულია კოოპერატიული ბანკი მოათავსონ ყოფილ საგლეხო სათავადაზნაურო ბანკის შენობაში.

ბათუმის გარშემო

რედაქციამ შემდეგი დეპეშები მიიღო:

ბათუმი. (დამფუძნებელ კრებას და მთავრობას). ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო უძლიერეს პროტესტს გამოსთქვამს მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მიერ ბათუმის „პორტო სახელმწიფოთ“ გამოცხადების გამო. ეს გადაწყვეტილება უმაღლესი საბჭოსი ფეხქვეშ თელავს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს, შეუძლებელს ხდის რა ამით საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას. ბათუმი და ბათუმის ოლქი, როგორც განუყოფელი და განუყრელი ნაწილი საქართველოსი, თანახმად ბათუმის ოლქის მკვიდრთა გადაწყვეტილებისა, უნდა შეუერთდეს მის ორგანიულ მთელს—საქართველოს. ვინც ამის წინააღმდეგია, ის მოსისხლე მტერია საქართველოსი. ეროვნული საბჭო მოუწოდებს მთელ ქართველობას განუხრელი სარწმუნოებისა ხმა აღიმაღლოს უმაღლეს საბჭოს მიერ ჩადენილ საშინელ უსამართლობის წინააღმდეგ, შემოკრბეს მთავრობის გარშემო და მასთან ერთად დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესები, თუნდ რომ ამისათვის მას უდიდესი მსხვერპლის გაღებაც დასჭირდეს.

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ ელიავა.

ბათუმი. (საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს) საქ. სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ბათუმის ორგანიზაციამ მოისმინა რა მოხსენება მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მიერ ქ. ბათუმის „პორტო სახელმწიფოთ“ გამოცხადების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ 1) ბათუმი და ბათუმის ოლქი განუყრელი და განუყოფელი ნაწილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომ 2) ბათუმის ცალკე „პორტო სახელმწიფოთ“ გამოყოფა ჰხდის საქართველოს სავაჭრო ძლიერ საერთაშორისო კაპიტალისტთა სამძებნოთ, 3) რომ უბათუმოთ საქართველოს რესპუბლიკის არსებობა ყოვლად წარმოუდგენელია, 4) რომ ბათუმის ოლქის მკვიდრმა მცხოვრებლებმა საქვეყნოთ არა ერთხელ და ორჯერ აღიარეს, რომ ბათუმის ოლქი ქ. ბათუმითურთ უნდა გაერთიანდეს საქართველოსთან, მთელი საქართველოს დემოკრატიასთან ერთად პროტესტს აცხადებს უმაღლეს საბჭოს ასეთ გადაწყვეტილების წინააღმდეგ და მოუწოდებს საქართველოს მშრომელთ მჭიდროთ შემოერტყან მთავრობის გარშემო და ყოველი ღონისძიება მიიღონ ბათუმის და მისი ოლქის საქართველოსთან გაერთიანებისათვის.

ბათუმის ს. დ. კომიტ. თავმჯდომარე აფ. წულაძე.

აბაშა. აბაშის რაიონის ყველა საზოგადოების მცხოვრებთა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი შეკრებილი ბათუმის საკითხის უსამართლოდ გადაჭრის გამო გამოსთქვამს თავის ღრმა აღშფოთებას და გულის წყრომას იმათ წინააღმდეგ, ვინც კითხვის ასე გადაჭრით საქართველოს უხშობს ერთად ერთ კარს ევროპისაკენ. საქართველო უბათუმოდ ვერ იარსებებს. მთავრობისაგან მოვითხოვთ გადაჭრით, გაბედულ ნაბიჯს ბათუმის კითხვის სამართლიანად გადასაჭრელად.

მიტინგის თავმჯდომარე ბუკუჩავა.

ახალსენაკი. (ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ამერიკის მისიებს). ძველ სენაკელთა მრავალ რიცხოვანი მიტინგი 19 მარტს ერთხმად მოითხოვს ბათუმი და მისი ოლქი როგორც ეთნოგრაფიულად და გეოგრაფიულად საქართველოს განუყოფელი ნაწილი დღეს კი დიდი სამშობლოზე ვერაგულად მოკვეთილი, შეერთებულ იქნას საქართველოს რესპუბლიკასთან. ეს სამართლიანი მოთხოვნა მოხსენდეს მოკავშირეთა სახელმწიფოებს და დამფუძნებელ კრებას. მიტინგი ერთხმად აცხადებს რომ ამისათვის მოქალაქენი სისხლს დაღვრიან და იმას, რაც ცბიერებით წაგლიჯეს, ბრძოლით დაიბრუნებენ უკან.

მინდობილობით გრიგოლ გეგენავა, აბელ წულაია.

ახალსენაკი. (ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ამერიკის მისიათა წარმომადგენლებს) ქალაქ სენაკის მოქალაქეთა და სენაკის რაიონის მცხოვრებთა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი 19 მარტს ერთხმად აცხადებს შემდეგს: ბათუმი და მისი ოლქი წარმოადგენს საქართველოს განუყრელ ისტორიულ, ეთნოგრაფიულ ნაწილს. გვაქვს მასთან საერთო ენა, კულტურა. მაგრამ ოტომანის იმპერიის მტაცებლურმა პოლიტიკამ და საბჭოთა რუსეთის მოღალატეობამ ჩამოგვაშორა ეს ადგილები, ჩაგვიხშო კარი ევროპისაკენ. გვწამს, რომ მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო ამ დანაშაულს გამოასწორებს აღმოსავლეთურ დესპოტიზმისა და ანარქიზმის შეთანხმებით ნამოქმედევის ალაგმვით და გაუქმებით. ამ ჟამად ბათუმის, თუმცა დროებით, პორტო ფრანკოთ გამოცხადება უმაღლეს საბჭოს მიერ, წინააღმდეგობას გვიქმნის. ეს ნიშნავს საქართველოს მთლიანობის ინტერესების უგულვებელყოფას, თვით ბათუმის და ოლქის მცხოვრებთა თვითგამორკვევის პრინციპის გაბათილებას. გამოვსთქვამთ რა ღრმა მწუხარებას და აღშფოთებას ასეთი შეცდომების გამო, მოვითხოვთ უმაღლეს საბჭოს მხრით, რომ საქართველოს მთლიანობის ინტერესები საბუთად იქნას ცნობილი და დაცული მტკიცედ. ბათუმის და ოლქის კვლავ ჩვენთან შემოერთებით ჩვენ ვუახლოვდებით ევროპიულ კულტურას, ამის გზას გვიძლევს თვით ჩვენივე ისტორიული, ეკონომიური ნაწილი ბათუმი მისი ოლქით. ჩამოცილება ამ ადგილებისა ნიშნავს ქართველ ერის ჩაგდებას აღმოსავლეთურ დესპოტიზმში და ანარქიზმში. მოვითხოვთ ჩვენს საკუთარ ადგილს ბათუმს ოლქით და ჩვენს საკუთარ გზას ევროპის კულტურისაკენ.

მიტინგის თავმჯდომარე მალანია.

ხონი. მრავალ-რიცხოვანი მიტინგი ხონის მოქალაქეებისა, შეკრებილი 19 მარტს, გამოსთქვამს ღრმა აღშფოთებას უმაღლეს საბჭოს მიერ ბათუმის საქართველოსაგან მოწყვეტის გამო. ბათუმი ეთნოგრაფიულად, კულტურულად და გეოგრაფიულად ჩვენია. ბათუმის წართმევა ნიშნავს საქართველოს სასიკვდილოთ დაჭრას. მიტინგი მოითხოვს საქართველოს დამფუძნებელი კრებისაგან ყოველ გზით ზომების მიღებას ბათუმის დასაბრუნებლად.

მიტინგის თავმჯდომარე ხუროძე.

ლანჩხუთი 19 მარტს შედგა ქალაქ ლანჩხუთის და მისი რაიონის მოქალაქეთა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი. მოსმენილ იქნა მოხსენება ბათუმის მდგომარეობის შესახებ. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია ბათუმის საქართველოსთან უცილობლად შეერთების შესახებ. რაც ეცნობა თფილისში მყოფ ყველა სახელმწიფოების მისიებს, დამფუძნებელ კრებას და მთავრობას.

თავმჯდომარე ა. ჩხაიძე.

ლინარ ჭალანი. (მოკავშირეთა მისიების წარმომადგენლებს) ლინარ ჭალანის მრავალ-რიცხოვანი მიტინგი გაეცნო რა ბათუმის შესახებ მოხსენებას, გამოსთქვამს თავის გულისწყრომას და აცხადებს მძლავრ პროტესტს უმაღლეს საბჭოს მიერ ბათუმის საკითხის ასე ყოვლად უსამართლოდ გადაწყვეტის გამო. ოთხი საუკუნის განმავლობაში მტაცებლურად გაწამებული აჭარა, შავშეთი, ეს ქართული კულტურის აკვანი მოელოდა, რომ დიდი ევროპის ქვეყნები მაინც მიანიჭებდნენ საშუალებას შეერთებოდა თავის ღვიძლ ძმას—საქართველოს, რომელთანაც ის ასე მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეთნოგრაფიულად, კულტურულად და ეკონომიურად. უბათუმოდ—აჭაროდ საქართველოს არ ძალუძს არსებობა. უბათუმოდ საქართველოს დამოუკიდებლობა ფრთა შეკვეცილი იქნება. ყოველივე ზემოხსენებულის გამო მიტინგი მოითხოვს მთავრობისაგან აამუშაოს ყველა მის განკარგულებაში არსებული საშუალებანი, რომ ბათუმის საკითხი გადაწყდეს სამართლიანობის პრინციპის მიხედვით და აჭარის მცხოვრებთა სურვილის თანახმად. ქართველი ხალხი ამ საქმეში მთავრობასთანაა.

კრების თავმჯდომარე ჩხაიძე.

დახმარება მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე საზოგადოებრივ მთავარ ბიუროს ბიულეტენი № 5.

მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ მთავარ ბიუროში შემოიტანა: ხელოვნების ცენტრმა 10,000 მ. მეორე ქართულ კლუბმა 50,000 მან., იმავე კლუბმა სტუმართა და წევრებს შორის შეგროვილი 11,176 მ.ნ. 15 კ., დირიჟაბლის ამქარმა 1,000 მ., ქეთ. ამირეჯიბმა ნივთების მოგროვების დროს შეგროვილი 18,260 მ. 50 კ., მოწყობილ ოთახების გამგეობამ 18,117 მ. 50 კ., ძველ ტანსაცმლის გამყიდველმა მამასახლისმა 1,740 მ., ბაზაზთა მამასახლისმა 2,200 მ., სახ. სახ. არტისტულ რიგელ დრამატ. წრე საგან 18 863 მ. 50 კ., ნ. ყარალაშვილმა ნივთების შეგროვების დროს მოგროვილი 810 მან., ი. ნ. რატიშვილმა 5,000 მ., ავლაბრის მე 7 საქალაქო სკოლის მასწავლებლებმა 375 მ., ამ სკოლის მოწაფეებმა 827 მ. 50 კ., მ ბ—ეშ 136 მ., რუსის სკოლის მოწაფეებმა 143 მ., ეკატერინენსკის ქალების მიერ გამართულ საღამოს შემოსავალი 26 518 მ., ებრაელთა ეროვნულ საბჭოს მიერ შეგროვილი 18,756 მან., ძმათა ძველებოვებისაგან 50 000 მ. და 50 ფუთი თევზი (გადასაცემს ბიუროს პირველივე მოთხოვნილებით), აბანოებში მომუშავეთა პროფ. კავშირმა 17 887 მან., ზუბალაშვილის სახ. სახ. არსებულ ქართული წრისაგან 5 881 მ. 50 კ., „სახალხო საქმის“ რედაქციაში შეგროვილი 46 504 მ., გურიის საკუთ. უწყების მოსამსახურეთაგან 6 570 მ., ღვინო-გასტრონომიულ მაღაზების პატრონთა კავშირის გამგეობამ 7,925 მ., სახალხო სახლთან არსებულმა რუსულმა დრამატიულმა წრემ 9,700 მ., მეფინგერეთა ამქარმა 1,750 მ., ლიტ. მეტრეველმა მის მიერ შეგროვილი 1 500 მ., სასტუმრო „ორიანტმა“ 3 000 მ., საპარიკმახეროებში მომუშავეთა პროფ. კავშირმა 12 700 მ., სამტრედიის დაბის და მაღალ დაწყებითი რკინის გზის სასწავლებელთა პედაგოგიურმა საბჭოებმა 29 თებერვალს გამართულ საღამოდან შემოსული 22,92 მ. 50 კ., ხონის დამხმარე კომიტეტმა შეგროვილი 8089 მ., შიდა ქვეითი ათასეულის უფროსმა 2 474 მ. 75 კ., სულ წინათ შემოსულითურთ 2,304 451 მ. და 55 კ.

მთავარი ბიუროს მდივანი ვ. ხახანაშვილი.

სოციალური დახმარება

(თფილისის გამგეობის სოციალური დახმარების მოქმედება).

ქალაქს ჯერ-ჯერობით ჰყავს სამი სასადილო № 1 (მელიქოვის ქ. № 5). № 2—(კიროჩნი ქ. ოფიცერთა საზოგ. შენობაში) და № 3—(ავლაბარში, კახეთის მოედ. № 6).

ამ პირველ ორ სასადილოში სადილი ორი თავი ღირს 18 მ., ხოლო მესამეში—20 მ., ერთი თეფში 50 კ., შაქრით ჩაი ღირს 5 მ., ფულმეში 4 მ. ყველა სასადილოებში ყოველ დღე ხვდება თფილისის გაჭირვებულ ... [illegible]

— ჯერ-ჯერობით, მეტად, რაც საზოგადო სასადილოებს და სახაზინო კავშირის, რომლის საქმეებიც ქალაქის სოციალური განყოფილება აწარმოებს, ... ჰქვს თავისი ცენტრი საწყობი, საიდანაც ლებენ საჭმელს 8 საზოგადო სასადილო და საბავშვო თავშესაფრები.

კავშირში შედის 10 ორგანიზაცია, 36 ათასი მანეთი სახელო გადასახ ფულით.

— საბავშვო თავშესაფრის ქალაქის თვითმართველობა აძლევს თვეში ... ათას მან. დახმარებას (1919 წ. დეკემბრიდან) საბავშვო თავშესაფარს, საზ. გადაცემა „კავკასიის კავშირი“-ს და 5000 მ თვეში დამხმარე საზოგადოების თავშესაფარს. გარდა ამისა, საბჭომ გადადო 50,000 მ. თავშესაფრის ... ბავშვების შესანახად. ქალაქის გამგეობამ ამა წლის 16 მარტის სხდომაზე მიიღო სოციალური დახმარების განყოფილების წინადადება ქალაქის ღამის თავშესაფრის (ულოკვის) სხვა ადგილას გადატანა და ამ თავშესაფრის 2 ... ბავშვების და ... მოუწყობლად. განყოფილება ამბობს, რომ ქალაქს უნდა ჰქონდეს ფართოთ დემოკრატიული საზოგადოება სო-

ციალურ დახმარებისა ბავშვთა და მოხუცთათვის, რის შესახებაც მოხსენებით შევიდა იგი პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში და რამდენიმე სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებში. განყოფილება ცდილობს ასეთი დემოკრატიული ორგანიზაცია მოაწყოს საზოგადოება „ბავშვის კავშირის" მფარველობით. ამ დღეებში ქალაქმა უნდა ჩაიბაროს კიდევ ერთი მოწყობილი საბავშვო თავშესაფარი.

— 18 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან ქალაქის თვითმმართველობამ ჩაიბარა ყოფილი შრომის მოყვარეთა სახლი (ნიკოლოზის ქ. № 60), ამ დიდ 3 სართულიან ქვის სახლში უნდა მოგროვდეს ქალაქის ყველა სახელოსნოები რისთვისაც უკვე შესაფერი ზომებია მიღებული განყოფილების მხრივ.

— განყოფილებამ მიიღო წინადადება ამერიკულ კომიტეტისაგან, რომ იგი ქალაქის თვითმმართველობას ნებას აძლევს თავის სახელით 300 გაჭირვებული ასადილოს თავის სასადილოში. განყოფილებამ უკვე ორასამდე კაცი გაგზავნა. თვით განყოფილებაც ქალაქის სასადილოდან აძლევს უფასო სადილს გაჭირვებულთა განსაზღვრულ რიცხვს.

ქართველ მწერალთა მეორე ყრილობა

კვირას, აპრილის ოთხს, საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებით მოწვეულ იქნება სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა. ყრილობის დღიური წესრიგი თანახმად კავშირის წესდებისა, გამოქვეყნებულ იქნება 28 მარტს.

სია იმ მწერალთა, რომელთაც იწვევს 4 აპრილის ყრილობაზე მწერალთა საბჭო.*)

ა.

1*. აბაშელი ს., 2. აბაშიძე ვასო. 3. აბაშიძე კოკი. 4. აბრამიშვილი მიხ. 5. აბხაიძე შალვა. 6. ავალიშვილი ნიკო (მთარგმნელი). 7*. ადამაშვილი მიხ. 8. აზიანი. 9. აზარა. 10*. ამირეჯიბი შალვა. 11*. ანდრონიკაშვილი კონსტ. 12. არაგვისპირელი შიო. 13. ლეისტი არტურ. 14*. ალლაძე ილია. 15, ახვლედიანი დარია. 16*. ახნაზაროვი არტემ. 17. ახობაძე ლადო. 18. ახოსპირელი ბეჟლარ.

ბ.

19. ბაბილინა. 20*. ბარნოვი ვასილ. 21. ბებიაშვილი რ. 22. ბაქრაძე ვლადიმერ. 23. ბაჩანა. 24. ბუქურაული ივ. 25. ბოჭორიშვილი მიხ.

გ.

25*. გაბაშვილისა ეკატერინე. 26*. გამსახურდია კ, 47. განდეგილი. 28. გარიყული მარ. 29*. გაფრინდაშვილი ვალ. 30. გელეიშვილი პეტრე. 31. გარიკა ვ. 32. გვაზავა გ. 33. გვეტაძე რაჟდენ 34. გედევანიშვილი იოსებ. 35. გელა. 36. გომართელი ივ. 37. გოგობია რ. 38. გორგაძე ს. 39*. გრიშაშვილი ი. 40. გუნია ვალ. 41*. გლახაშვილი ს. 42. გარდელი.

დ.

43.*. დადიანი შალვა. 44*. დადიანი ხასონ. 45. დადიანი შოთა. 46*. დაუთაძე პავლე. 47. დეკანოზიშვილი ანდ. 48*. დიასამიძე გრ. 49. დევდარიანი ს.

ე.

50*. ელიოზიშვილი ილია. 51 ელიაშვილი ივ. 52. ევანგულოვი ბ. (მთარგ.) 53. ერისთავ ხოშტარიასი ა. 54. ეშმაკი. 55*. ერისთავი დიმიტრი. 56. ეკალაძე ია. 57*. ერთაწმინდელი ს.

ვ.

54. * ვართაგავა ია. 55. ვარდოშვილი ს. 56. ვედრებისელი დარ.

ი.

57*. იაშვილი პაოლო. 58. იასამანი. 59*. ინგოროყვა პავლე. 60*. ინ ბანი. 61. ირეთელი პ. 62. იმედაშვილი ი.

კ.

63*. კასრაძე დავით. 64. კაკაბაძე პოლ. 65. კაპანელი კ. 66. კარმელი შალვა. 67*, კლდიაშვილი დავით. 68. კლდიაშვილი სერგო. 69*. კოტეტიშვილი ვახ. 70. კოპალე დავით. 71. კურდღელაშვილი ნ.

ლ.

72*. ლორთქიფანიძე ნიკო. 73. ლეჩხუმელი რ. 74*. ლეონიძე გ. 75*. ლიბელი დავით. 76*. ლუკაშვილი ლ.

მ.

76. მაყაშვილი კოტე. 77*. მარიჯან. 78*. მაჭავარიანი ივ. (მთარგ.) 79. მაჭავარიანი ლადო. 80. მალაქიაშვილი ვ. 81*. მელანია. 82*. მეგრელი დუტუ. 83*. მეტრეველი ლევან. 84) მესხი დავით. 85. მენთეშაშვილი ვან. 86. მგზოანური დ. 87*. მგალობლიშვილი სოფრომ. 88*. მირიანაშვილი პეტრე. 89*. მირიანაშვილი ალ. 90*. მიწიშვილი ნიკოლოზ. 91*. მუშლაძე გ. 92. მოსაშვილი ილ. 93. მღვიმელი შიო. 94*. მჭედლიშვილი ი.

ნ.

95*. ნადირაძე კოლაუ. 96. ნათაძე ლეო. 97*. ნაკაშიძე ნინო. 98*. ნაკაშიძე ილია. 99*. ნიხუცრიშვილი ლ. 100*. ნიკოლაძე ნიკო. 101. ნიკოლაიშვილი ი. 102. ნიკიტინი ალ. (მთარგ.).

ო.

103*. ობოლი მუშა. 104. ორბელიანი ელის.

პ.

105*. პაპავა აკაკი. 106. პართენაშვილი. 107. პოლუმორდვინოვი ივ. (მთარ.)

რ.

108 *. რამიშვილი ტრ. 109. რაზიკაშვილი თედო 110. რაჭველიშვილი ქრისტ. 111. რემონაძე ს. 112 *. რობაქიძე გრ. 113. რუს-იშვილი. 114. რუშაველი ფ. 115 *. რუხაძე ვარლამ. 116. რუხაძე ილია.

ს.

117. საქარიქელელი გრ. 118. სახოკია თ. (მთარ.) 119. სეფეია.

ტ.

120 *. ტაბიძე გალაქტიონ. 121 *. ტაბიძე ტიციან. 122. ტუქსიშვილი ვ.

უ.

123. უზნაძე დიტო. 124. უიარაღო.

ფ.

126. ფანცხავა რ. 116. ფანცხავა ი. 127 *. ფაშალიშვილი ს. 128 *. ფორცხალავა სამ.

ქ.

129 *. ქიაჩელი ლეო. 130 *. ქეზიშვილი. 131 *. ქიქოძე გერ. 132 ქვარიანი სამ.

ღ.

133. ღამბაშიძე (მთარ.)

ყ.

134 *. ყანჩელი სანდრო 135 *. ყიფიანი ნკ. 136. ყიფიანი ვასილ. 137. ყიფიანი პავლიკო. 138. ყიფიანი ნინო. 139. ყიფიანი კოტე. 140. ყიფიანი ივ. 141. ყიფშიძე გრ.

შ.

142 *. შანშიაშვილი სანდრო. 143. შანიძე აკაკი. 144 *. შარაშიძე შალვა. 245. შენგელაია დემნა. 146 *. შიუკაშვილი ნ.

ჩ.

247. ჩიაბელი ლია. 148 *. ჩხაკვაძე ნ.

ც.

149. ცაცხლაძე გრ. 150. ცვარ-ნამი. 151 *. ცირეკიძე სანდრო. 152. ცქიტი.

წ.

153. წეფელი ს. 154. წერეთელი ალ. 155. წუთისოფელელი კ.

ჭ.

156. ჭანტურიშვილი ს. 157. ჭუმბურიძე გ. 158 *. ჭუმბაძე არ. 159 *. ჭელიძე კ. 160. ჭყონია ილია.

ხ.

161. ხვიჩიაშვილი გ. 162. ხუნდაძე სილოვან. 163. ხუსკივაძე თეოფილე.

ჯ.

164 *. ჯაფარიძე ლელი. 165. ჯორჯიკია ჯაჯუ.

სენატში

საქართველოს სენატის საკასაციო სამოქალაქო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს 1920 წ. მარტის 22 სხდომაზე განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა.

1) საქმე ანტონი თეოდორის ძის კუზნეცოვის რუსულ სააქციონერო საზოგადოებასთან „შუკერტ და კომპანია" (სიმენს-შუკერტ) 5300 მან. თაობაზე.

2) საქმე ივანე გიორგის-ძის და ეკატერინე და ელენე გიორგის ასული ნაცვლოვებისა ნიკოლოზ მალაქიას-ძე ნაცვლოვთან მამულის საკუთრების თაობაზე.

3) საქმე დიმიტრის სვიმონის ძის ანთაძისა ტარასი გარუჩავასთან მამულის დარღვეულ მფლობელობის აღდგენის თაობაზე.

4) საქმე უსტი ხანუმ იბრაგიმოვისა ქულეტა კარლოვის ასულის შუქლის მიმართ 1200 მან. თაობაზე.

5) საქმე სიღნაღის ახალ კლუბის დეკანოზ ლაზარე ალექსისძე ტურიაშვილის მიმართ 2000 მან. თაობაზე.

6) საქმე ილარიონ თენგიზის-ძე შენგელიასი მამედ კოტარ ტოლოს მიმართ სახლის დაცლის თაობაზე.

7) საქმე კიმოთე ივანეს-ძე ქვანიასი როსტომ ზაზულიასთან და სხვ. ზინის თაობაზე.

კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში

ხალხის სახლი. საქართველოს კოოპერატივთა კავშირის მუსიკალური სახელოსნოს ინიციატივით თფილისის გარნიზონში მყოფ ჯარისკაცთათვის 18 მარტს სახალხო სახლში გაიმართა კონცერტი, შესრულებულ იქნა სხვადასხვა ქართული სიმღერები და აგრეთვე არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე".

კონცერტის დაწყების წინ წარმოსთქვა სიტყვა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარემ ს. ჟორჟოლიანმა, რომელმაც განუმარტა ჯარის კაცთ სიმღერის და მუსიკის მნიშვნელობა.

საერთოდ კონცერტმა კარგად ჩაიარა და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა დამსწრე მსმენელებზე, რისთვისაც სამხედრო სამინისტროს კულტურულ განმანათლებელი სექცია მადლობას უძღვნის დასახელებულ ორგანიზაციებს. X.

— —

სამხედრო გოსპიტალი. 19 მარტს ადგილობრივ კლუბში გაიმართა საღამო, წარმოდგენილ იქნა „სისხლის მორევში", „დატრიალდა ჯარა" და „მოფურჩხულია", რომლის შემდეგაც ჯარისკაცებისაგან შემდგარმა გუნდმა შეასრულა სიმღერები. წარმოდგენა გვარიანად ჩატარდა. ეს კლუბი უკვე ექვსი თვეა არსებობს, მაგრამ წინსვლა არ ეტყობა, ამის მიზეზია ადგილობრივ მოსამსახურე მოინტელიგენტო ხალხის გულგრილობა. საჭიროა კია ყველა მოსამსახურე შემოკრბეს ამ კლუბის გარშემო. პ. დე—ხელი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 18 მარტს შესდგა თფილისის საქონლის სადგურის ს. ს. დ. მუშათა პარტიის წევრთა საერთო კრება ამხ. კალანდაძის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იყო: 1) მოხსენება მომენტის შესახებ; 2) მოხსენება ქვე კოლექტივისა; 3) გამგეობის განცხადება.

მიმდინარე მომენტის შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს დამფუძნებელ კრების წევრი ამხ. გ. ცინცაძე, რომელიც ეხება პარტიულ მუშაობას და იმ მუშაობას, რომელსაც ჩვენი ამხანაგები აწარმოებდენ დასავლეთ ევროპაში ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საკეთილდღეოთ. შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა ბათუმის მდგომარეობის შესახებ და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ევროპამ იცნო საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ყველამ იცის, რომ საქართველო უბათუმოთ წარმოუდგენელია; ევროპას მოეხსენება, რომ ბათუმი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. მიუხედავათ ამისა, მოკავშირეებმა ბათუმი ჩამოგლიჯეს საქართველოს, რაც მისი დამოუკიდებლობის გაბათილებას ნიშნავს. მაგრამ საქართველოს დემოკრატია არავის მისცემს ნებას ძალით ჩამოგლიჯონ მისი სხეულის ნაწილი და მოუწოდებს მთავრობას, რათა მან არ დაიშუროს არავითარი ძალლონე ბათუმისა და მის ოლქის საქართველოსთან შემოსაერთებლად.

შემდეგ კრებამ იმსჯელა იმ საფრთხის შესახებ, რომელიც საქართველოს მოელის ბოლშევიკების მხრივ და მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მიესალმება საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარულ ჯარსა და სახალხო გვარდიას, რომლებიც სასიქადულოთ ასრულებენ რესპუბლიკის მიერ დაკისრებულ მოვალეობას. კრება რწმენას გამოსთქვამს, რომ ჯარი და გვარდია მომავალშიაც დარაჯათ ედგება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება დამფუძნებელი კრების მუშაობის შესახებ და გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც სალამს უძღვნის საქართველოს დამფუძნებელ კრებას, რომელმაც იკისრა საქართველოს დემოკრატიის ფიზიკურ არსებობის გადარჩენა და ღირსეულათ შეასრულა ეს მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

დასასრულ მოხდა პარტიის პრეზიდიუმის არჩევნები. პრეზიდიუმში ერთხმათ აირჩიეს: ამხ. ნოე ჯიბლაძე, სიმონ ასამბაძე, ლავრენტი წითლიძე, და არსენ მახარაძე. ძველ წევრებს დაუმატეს ერთი წევრი, ამხ. დიმიტრი ქელენტი. ს. ჩიგოგიძე.

მუშათა შორის

15 მარტიდან ქალაქთა კავშირის ახლად დაარსებული ავეჯეულობის ფაბრიკა დახურულ იქნა შრომის კომისრის მიერ. ხსენებულ ქარხნის ყველა მუშა-მოსამსახურენი შრომის კომისარმა თფილისის საერთო საქალაქო კასას მიაწერა.

— როტინის სამრეწველოს მუშებთან მისვლის დროს შრომის კომისარმა აღმოაჩინა, რომ იქ საქარხნოში წიგნების წარმოება სწორათ არ ხდება. სწორათ არ არის ნაჩვენები მუშათა მიღების დრო. შრომის კომისარმა ხელმძღვანელს განუმარტა პატრონს, თუ როგორ უნდა აწარმოვონ საქარხნო წიგნები და გააფრთხილა, რომ თუ ასეთი შემთხვევა კვლავ განმეორდება, დამნაშავენი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

— ანდრიოლეტტისა და ამხ. კირისა და აგურის ქარხნის მუშებმა მიმართეს შრომის კომისარს განცხადებით, რომ წარმოების პატრონი წინსაფრებს და ხალათებს აძლევს იმ მუშებს, რომელნიც წინეთაც ღებულობდენ იმას მათი სამუშაოს გამო. წინეთ ეს გარემოება არ იწვევდა მუშებში სხვადასხვაობას; ხოლო ეხლა კი მუშების უმრავლესობამ დაადგინა ან ყველას დაურიგონ წინსაფრები და ხალათი ან არავის.

შრომის კომისარმა განუმარტა მათ, რომ წინსაფრების და ხალათების შესახებ კანონში არაფერი არის ნაჩვენები. ამის გამო მუშებმა უნდა მიიღონ იმ წესით როგორც ეს დღემდე იყო. და თუ მუშათა რომელიმე კატეგორია დაინახავს, რომ მასაც ერგება ასეთების მიცემა, მაშინ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ორივე მხარეს შეთანხმებით. თუ ეს არ მოხერხდა, საკითხი გადაეცემა მომრიგებელ კამერას, სადაც საკითხი გადაჭრილი იქნება. ხოლო კითხვის ისე დაყენება—ან ყველამ მიიღოს და ან არც ერთმა—არას დროს დასაშვები არ არის.

პროვინცია

ხოფული რუისი (გორის მაზრა). 14 მარტს მოხდა სოფ. რუისის საზოგადოების ხმოსანთა კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ვ. თოლაძე, ამავე კრებას დაესწრენ ამხ. შ. ჯავახაშვილი და სამაზრო ერობის თავმჯდომარე ამხ. მ. კლიმიაშვილი. დღიურ წეს-რიგში სამი საკითხი იყო: 1) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) დანგრეული სადგურის სკრის გადატანა უფრო შესაფერ ადგილზე და 3) ერობის გამგეობის არჩევნები. სანამ კითხვები გაირჩეოდა ამხ. მ. კლიმიაშვილმა ვრცელი მოხსენება გაუკეთა გორის და მის მაზრაში დატრიალებული უბედურობების შესახებ, რომელიც დაატყდა თავს მიწის ძვრამ. კრებამ და დამსწრე საზოგადოებამ გულ-დასმით მოისმინა მოხსენება და ძალიან მადლობელნი დარჩნენ მთავრობის და საზოგადოების, რომ ყველამ ეს გულ-შემატკივრობა გამოიჩინა. ხალხს სწამს, რომ მთავრობა და საზოგადოება თავის მიყუსით მზრუნველობას არ მოაკლებს და ამ დახმარების საქმეს მიიყვანს ბოლომდე.

პირველი კითხვის შესახებ, სარევიზიო კომისიამ განაცხადა, რომ რევიზია არა აქვთ დასრულებული და ამიტომ საბოლოო დასკვნა ჯერ არ გამოუტანიათ, მიზეზათ დაასახელეს მიწის ძვრა, რომელმაც სუყველანი დაგვფანტა, ამხ. კლიმიაშვილი შეჰპირდა სამაზრო ერობიდან კომისიაში კაცის დამატებას. სად. სკრის გადმოტანის შესახებ, ბევრი ილაპარაკეს და გამოირკვა, რომ, სადგური ყოფილა ყოვლად შეუფერებელ ადგილზედ აგებული, რასაკვირველია, რკინის გზის გამგეობას ამაზედ თავისი მოსაზრებები ჰქონდა და ექნება. მაგრამ დაადგინეს მიმართონ სამაზრო ერობას, რათა მან აღძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ-არს, რომ სადგური სკრა გადატანილ იქნეს სოფ. დვალეთის ან ხვედურეთის გადასწვრივ, სამაგიეროთ, ბაქანი ურბნისის სკრის ადგილზე, ვინაიდან რკინის გზა ესაჭიროება ხალხსო, და თუ ეს ასეა დღეთიზედ ხვდება თორმეტი მეტი სოფელი, ამითი რკინის გზა არაფერს დაჰკარგავს, სამაგიეროთ ბევრს მოიგებსო.

მესამე საკითხი გამოდგა უფრო მწვავე. გამოირკვა, რომ ყველა ის ძალები, რომლებსაც შეუძლიათ რამე სარგებლობის მოტანა სოფლისათვის, გაურბიან სოფელს, ვინაიდან ძალიან რთული და ძნელი ყოფილა სოფლად ღმშენებლობითი მუშაობა, სამაგიეროთ სასყიდელი ყოფილა ძალიან მცირე: თავმჯდომარეს ჰქონია 1,600 მ. თვეში. დაადგინეს გაადიდონ სამჯერ და თუ საზ.-ბა ვერ შესძლებს ხარჯების გაწევას, სთხოვონ დახმარება სამაზრო ერობას, რაზედაც ამხ. მ. კლიმიაშვილმა აღუთქვა დახმარება. ამის შემდეგ დასახელებულ იქნენ თავმჯდომარეთ ერობისა ამხ. ა. არაგვიაშვილი, ამხანაგათ ი. მამაცაშვილი და მდივნათ ამხ. ირემაშვილი. სამწუხაროდ, ჯამაგირების გადიდებამაც ვერ უშველა საქმეს და დასახელებულმა პირებმა უარი განაცხადეს, მხოლოდ შემდეგ კრების თხოვნას დაემორჩილნენ და ერთხმად იქმნენ არჩეულნი. კრება დასრულდა მეექვსე საათზე. ერთი რამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, ეს არის ახლად დანიშნული კომისარის რატიშვილის ტლანქი, უზრდელი და უდიერი მოპყრობა ხალხისადმი, რომელსაც ჯერჯერობით გაუტყეპნია ორი, ისეც მიწის ძვრისაგან დაზარალებულნი და უგინებია უშვერი სიტყვებით. ასეთი საქციელი არაა დასაშვები.

წარმოუდგენელი გავლენა მოახდინა მიწის ძვრამ ხალხზედ, რომელიც ჯერაც არ არის დასრულებული და თუ ყოველ დღე არა, ორ დღეში ერთხელ და ზოგჯერ ორჯერაც კიდევ იძვრის ხოლმე. დიდი საგრძნობი მიწის შენძრევა მოხდა 15-ში. დილით გათენებისას 3 საათზე, რომელმაც მთელი სოფლის ხალხი გულ გახეთქილები გამოაღვიძა და ზოგიერთები შიშით კანკალებდნენ.

რას არ გაიგონებ ამ საწყალ, ნახევრად ფიზიკურად, გონებრივად, და ქონებრივად განადგურებულ ხალხის პირიდან.

სულიერათ დაცემული ხალხი სასოწარკვეთილებას არის მიცემული და ყველა ამ მოვლენას ღვთის რისხვად სთვლიან.

ამას ხელს უწყობენ, ყველა სოფლებში უხვად მოვლენილი ქადაგები და წარმოიდგინეთ, რომ ზოგიერთი მღვდლებიც ეხმარებიან ამ საქმეში, უნდათ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ შესაფერი დრო. მე შევიქენი მოწამე სად. ქსანში მღვდელი ნიშ უგებდა ხალხს, ახლა გწამთ ღმერთი და ეგრე მოგივათთ, ჯერ კიდევ დიდი სასჯელი მოელის ხალხსო, მე ვერ მოვითმინე და არ ვიცი რითი გათავდებოდა, რომ ხალხს არ დაეშოშმინებინა. ზოგნი ეუბნებიან ახლა გწამთ ღვდლები, არ აძლევთ დრამას და აბა რა გგონიათ, ღმერთი გაპატიებთო. კარგი იქნება ჩვენმა ბუნებისმეტყველებმა, თუ რამე გამოიკვლიეს, ჩქარა ამცნონ ხალხს, რათა სულიერი დამშვიდება შეიტანონ მათში. ხალხი გზა-კვალ აბნეულია და ყველას უჯერებს.

ერთ ადგილს შეკრებილიყვნენ ჯგუფი გლეხებისა და რას არ გაიგონებდი ამათ პირიდან. ერთი ამბობს, რომ უნდა დაიბადოს ხბო, რომელმაც უნდა უწინასწარმეტყველოს ხალხს მომავალი და ეს სისულელე ზოგიერთმა კიდევაც დაიჯერა. რუისელი.

წერ. რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! ამას წინად თფილისში გამოსულ კომუნისტურ „ფურცელში" მოთავსებული იყო მუშა არაქელის წერილი. ეს წერილი შეიცავდა ჩვენი მთავრობის მოქმედების თავაშვებულ კრიტიკას, როგორც ეს საზოგადოთ სჩვევიათ ბოლშევიკებს წერით თუ სიტყვიერად.

სხვათა შორის, ამ კრიტიკას, თუ ბოლშევიკურ ლანძღვას, ბოლოზე ამშვენებდა ჩემი სახელი და გვარი ზოგიერთ ჩემს ძველ ამხანაგებთან ერთად.

ჩემი ძველი ამხანაგების შესახებ არაფერს ვიტყვი,—არ ვიცი რამდენათ თანახმანი არიან ისინი, რომ მათი დასტური ჰქონდეს მუშა არაქელს წერილს. ჩემის მხრით კი საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ არავითარი საბუთი არ მიმიცია მუშა არაქელისათვის თავისი ნაწარმოები ჩემი სახელით გაესაღებინა. ამასთან ერთად საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო ამხანაგების საყურადღებოთ, რომ დიდი ხანია მე მუშა არაქელთან არავითარი იდეური კავშირი არა მაქვს.

ძველი მუშა დიონისე მამალაძე.

განცხადებანი

სამართებლები „ჟილეტ"
ნამდვილი ამერიკული სასწრაფოთ იყიდება
შეღავათიან ფასებში ბითუმად
და ცალობით ა. ზაპისტის
ინგლისურ მაღაზიაში
რუსთაველის პრ. № 20, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (1003 6—2)

იყიდება პროექტორი
დინამო ნევტომატორი ქ. თელავში და კინემატოგრაფის მთელი კომპლექტი.
მისამართი: ქ. თელავი, პროექტორი „ლირა" მორზოიანცი. (1041 3—1)

იყიდება ნაყენი ხეხილები
დუშეთის ქუჩაზე № 31.
(995 2—2)

სკრის სახელმწიფო მამული
იყიდება ნერგები და მაყვალი
სადგური სკრა.
(98, 5—5)

ექიმი დ. ბ. ხარაბაძე,
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 67, ალექსანდრეს ბაღის ახლოს.

ექიმი
ნიკოლოზ მახარაძე
განახლა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთა მიღება ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 ზემელის აფთიაქის მახლობლად.
(1018—6—3)

ექიმი ქალი
მ. მ. ალფეევი
წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველდღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად საბებიო ქალების ავათმყოფობა. და ვენერიული ავათმყოფობა.

ექიმი
ნ. დ. ცერიაშვილი
იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებით ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღის 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. 119—თ.)

ექიმი
დოქ. კოსტ. მე ვრინჯაძე
(ოზურგეთიდან)
იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52.
(თ. 581)

ექიმი **ბ. ლევენშტეინი**
შინაგ. და ნერვიული სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლევების, [illegible] და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კირილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

კერძო სამკურნალო
ექ. ე. მ. მძინარიშვილისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და კირიონის ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87 მიიღება ყოველგვარი სნეულებით ავათმყოფებისა დილის 8—3 საათამდე, ვენერიულით, სიფილისით და კანის სნეულებით დაავათმყოფებულნი მიიღებიან აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. უსახსროსათვის უფასოთ დილის 8—11 საათ.
იღებენ ექიმები
ი. ქ. ახაკულია—შინაგან ავადმყ.
დ. ვ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვების ავათმყ.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგ. ავათმყ. და მიკრო—ხიმ. ანალიზი.
ა. გ. მაჭავარიანი—ქირურგ. ავათმყ.
ე. მ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.
ნ. ხ. თერმბოვსკი—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. მ. ცხვედაძე—თვალის ავათმყ.
ე. ლ. შალამბერიძე—ქალის ავათმყ. და საბებიო.
სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაცია, ოპერაცია, ელექტრიზაცია, მასაჟი, კანს ქვეშ შეშხაპუნება, ყვავილის აცრა, „606" და „914" შეშხაპუნება და აგრეთვე მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი (ნახველის, კუჭის წვენის, სისხლის, შარდის, განავალის და სხვ. (თ. 009)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვა"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28.
(134—თ.)

ექიმი
ა. გ. მართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და 914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვეგნერის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ფილტვების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილით 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს ექიმობს უფასოთ. (თ.636)

ექიმი ვ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და [illegible] სნეულებანი, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილით 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 23,